პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი [illegible]

კომუნისტი

ს. კ. პ.

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი [illegible]

№ 80 სამშაბათი, 11 აპრილი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 11 აპრილი 1922 წ. № 80

ს. ც. ალმასკომის საგანგებო სესია

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ამა წლის აპრილის 12-ს დანიშნულია

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო

სესია

საგანგებო სესიის დღიურ წეს რიგს შეადგენს:

1. ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაცია.
2. დამტკიცება დებულებისა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ.
3. პროექტი დებულებისა მიწათ მოწყობის შესახებ და ამასთან და კავშირებით, პროექტი დეკრეტისა მიწათ-მოწყობის და მიწათ სარგებლობის ნიადაგზე აღძრული დავის განხილვის წესის შესახებ.
5. მოხსენება სიმშილობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

სამშაბათს, 11 აპრილს საღამოს 5 საათზე

პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება

ქალაქის დელეგატების საერთო კრება

(კრებას ესწრებიან იაჩეიკის დელეგატები, რომლებსაც ირჩევენ დელეგატების რაიონულ კრებებზე)

დღის წეს რიგი:

1) გენუა და სამი ინტერნაციონალის კონფერენცია.
2) თბილისის კომიტეტის ანგარიშები.
3) მიმდინარე საქმეები.

დელეგატები მანდატებს იღებენ რაიონულ კომიტეტების მდივნებთან.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **ლოლობერიძე.**

(2—2)

პროპაგანდისტთა სკოლის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან იხსნება ორთვიანი პროპაგანდისტების სკოლა (ლექციების სემინარიები) რუსულ ენაზე **მიღების პირობები:**

მსმენელებათ მიიღებიან პარტიის წევრები 18-დან 35 წლამდის, რომელთაც აქვთ მცირეოდენი სააგიტაციო პროპაგანდისტული გამოცდილება და მომზადება შემდეგი წიგნების მიხედვით: 1. კომუნიზმის ანბანი, **ბუხარინისა**, 2. პირველ-დაწყებითი კურსი პოლიტიკურ ეკონომიისა (კითხვა-პასუხში) **ბოგდანოვისა**, 3. ერფურტის პროგრამა **კაუცკისა**.

მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აპრილს. მეცადინეობა დაიწყება 2 მაისს.

ყველა კურსანტები იქნებიან სკოლის სრულ ხარჯზე

იმ ამხანაგებს, რომელთაც სურთ სკოლაში შემოსვლა უნდა წარმოადგინონ რეკომენდაცია ქალაქისა და სამაზრო პარტ-კომიტეტების და ჩაეწერნონ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის საპროპაგანდო ქვე-განყოფილებაში 25 აპრილამდის.

საქ. კომ. პარტ. ცენტ კომ. საგიტ.-პროპ. განყოფილების გამგე.

საყოველთაო სამხედრო სწავლებისათვის

რათქმა უნდა, ჩვენი საბოლოო იდეალს შეადგენს ისეთი ცხოვრების დამყარება, როცა შეიარაღებული ძალა ზედმეტი გახდება და ადამიანის მთელი ძალა მოხმარდება ეკონომიურ კულტურულ მოღვაწეობას. მაგრამ ჯერ-ჯერობით კი ისეთ პირობებში ვიმყოფებით, როცა ჩვენი ბედ-იღბალის გადაჭრაში იარაღს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული. კაპიტალისტური ქვეყნები, რომელნიც ჩვენზე კბილებს ილესავენ, თავიდან ფეხამდე იარაღში არიან ჩამსხდარნი და თუ ცოტაოდენი სისუსტე შეგვატყვეს, არ დააყოვნებენ თავდასხმას, რათა მოსპონ საბჭოთა წყობილება, პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვარნი. რას იზამთ, ჩვენც იძულებული ვხდებით ძალას ძალა დაუპირდაპიროთ. ამიტომაცაა, რომ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ამ ჟამად წითელი არმიის ორგანიზაციას. მაგრამ მარტო რეგულიარული ჯარი საკმარისი არ არის. იმოდენა ჯარს მუდამ თოფქვეშ ვერ ვიყოლიებთ, რომელიც მარტო შესძლებს ყოველ შემთხვევაში უზრუნველყოს ჩვენი ხელშეუხებლობა და მშვიდობიანობა, მრავალ რიცხოვანი რეგულიარული ჯარი ძვირად დაუჯდება სახელმწიფოს და ამით სამეურნეო ფრონტსაც მოაკლდება დიდ ძალი მუშა ხელი, რასაც ვერ აიტანს ჩვენი სახალხო მეურნეობა. ამიტომ ჩვენი რეგულიარული არმია შეიძლება იყოს შედარებით მცირერიცხოვანი. ჩვენ კი აუცილებლად გვესაჭიროება სოციალისტურ სამშობლოს და რევოლიუციის დამცველთა კადრის გაძლიერება. ეს კი შესაძლებელია საყოველთაო სამხედრო სწავლების შემოღებით, რაც თანდათანობით უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. კერძოდ ამჟამად მორიგ საქმედ მიგვაჩნია მშრომელ ახალგაზრდობის (ომში გასაწვევ ჰასაკამდე) სამხედრო მომზადება. ფაბრიკა-ქარხნების ახალგაზრდა მუშები, სოფლის მშრომელი ახალგაზრდობაც უნდა იქნან ჩაბმულნი სამხედრო სწავლების საქმეში. რა თქმა უნდა, ეს სამხედრო სწავლება მოეწყობა იმგვარად, რომ ახალგაზრდობა არ მოცდება თავის პირდაპირ შრომას. სწავლების ორგანიზაცია ტერიტორიულად დაახლოვებული იქნება ამა თუ იმ სამეურნეო ცენტრსა თუ რაიონთან და ვარჯიშობა იწარმოებს მუშაობიდან თავისუფალ დროს. ჩვენ აქ არ შეუდგებით იმის გამორკვევას, თუ ტეხნიკურად როგორ უნდა მოეწყოს ეს საქმე. ამას სათანადო ორგანოები შეასრულებენ. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საჭიროა საყოველთაო სამხედრო სწავლების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს და ამ მიმართულებით ცხოველი მუშაობა იქნეს გაჩაღებული.

ახალგაზრდობის წმინდა სამხედრო სწავლებასთან ერთად უაღრესი მნიშვნელობა აქვს მისი პოლიტიკურ-კულტურულ აღზრდას და გათვითცნობიერებას. ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებს და კერძოდ კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირებს მართებთ იკისრონ საქმის ამ მხარის სრული იდეური ხელმძღვანელობა და გაძღოლა. ახალგაზრდა მეომრებში უნდა ავღზარდოთ კომუნისტური სული და შთავუნერგოთ მათ მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად ბრძოლის ხალისი და თავდადებისათვის მზადყოფნის გრძნობა. ასეთი შეგნებით გამსჭვალულნი და წინასწარი სამხედრო ცოდნით აღჭურვილნი შევლენ ეს ახალგაზრდები შემდეგ რეგულიარულ ლაშქარში და შეადგენენ იქ მის ჩონჩხს, მის მოწინავე, საუკეთესო ნაწილს. ბრძოლისათვის მუდამ განმზადებული რეგულიარული ლაშქარი და მის გვერდით სამხედრო ცოდნით შეიარაღებული მშრომელი ახალგაზრდობა, ეს ორი მრისხანე ძალაა, რომელსაც გულდამშვიდებით დაეყრდნობა საბჭოთა ხელისუფლება.

რეგულიარულ წითელ არმიის ორგანიზაციასთან ერთად მშრომელი ახალგაზრდობის სამხედრო გაწვრთნა და პოლიტიკურ კულტურული გათვითცნობიერება—ეს ფრიად საშური საქმეა, რომლის განხორციელებას უნდა შეუდგეთ მთელი რევოლიუციონური ენერგიით და ენტუზიაზმით.

რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა

მსოფლიო ომში მაშინ დროებითი გამარჯვებით დამთვრალმა იუნკრების გერმანიამ წამოსახრჩობად წაუჭირა ყელში ხელი მუშურ-გლეხურ რუსეთს, რომელმაც ის იყო დაამსხვრია მემამულეების და ბურჟუაზიის ხუნდი და რაც არ უნდა დამჯდარიყო, ის საჭიროებდა გარეშე ფრონტის მოხსნას, პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვართა განსამტკიცებლად, ამასთან ომით სისხლისაგან დაცლილ და დაუძლურებულს ძალაც არ შესწევდა კაიზერის ჯარებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. შედეგად მივიღეთ გენიალურად მონათლული ბრესტის ცნობილი „ზავი“, გენიალური, რამდენადაც მან სული მოათქმევინა საბჭოთა ძალა უფლებას და ხელი შეუწყო იუნკრების რეჟიმის დამარცხებას და რევოლიუციას გერმანიაში. ეს რევოლიუცია მოხდა, (ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლიუცია) უძლეველად ჩვენებული იმპერატორი ვილჰელმი დაემხო, ბრესტის ხელშეკრულებაც გაბათილებულ იქნა. საბჭოთა მთავრობამ გერმანიის ახალ ხელისუფლებას წინადადება მისცა საერთო რევოლიუციონურ ფრონტის შექმნის შესახებ. საფიქრებელი იყო, რომ გერმანიის ახალი მთავრობა წმინდა ნაციონალურ და ზოგად რევოლიუციონურ ინტერესებისათვის ხელს გაუწოდებდა საბჭოთა რუსეთს, მაგრამ გერმანიის მაშინ დელმა მეთაურებმა, შეიდემანელებმა, რომელნიც ნაწილობრივ ეხლაც განაგებენ ამ ქვეყნის სვებედს, უარყვეს ეს წინადადება, რადგან შეიდემანელებს, რომელნიც საბოლოოდ თვით გამოერკვნენ, როგორც ბურჟუაზიულ წყობილების აშკარა დამცველნი, უფრო მეტი ეშინოდათ რუსეთიდან მომდინარე პროლეტარულ რევოლიუციის, ვინემ ანტანტის ჯარების. ამით მათ უდიდესი ღალატი ჩაიდინეს, როგორც რევოლიუციის, ისე საკუთარ სამშობლოს წინაშე.

ანტანტამ გერმანია ომში სასტიკად დაამარცხა და ვერსალის ხელშეკრულების სახით მას მონობის უღელი დაადგა, რომლის სიმძიმის ქვეშ დღესაც სულს ღაფავს გერმანიის მშრომელი ხალხი. საქმე შეიძლება სულ სხვანაირად დატრიალებულიყო, რომ გერმანიის მესვეურებს დროით შეეგნოთ საბჭოთა რუსეთთან შეკავშირების აუცილებლობა. მაგრამ ასეთი შეგნება არამც თუ მაშინ, არამედ შემდეგშიაც, როცა მუხრუჭს თანდათან უჭერდნენ, უმწეოდ დარჩენილ გერმანიას, ფრიად ნელა და წარმოუდგენელი სიძნელით ეუფლებოდა მათ შემეცნებას. მართალია, გერმანიის მთავრობამ იცნო საბჭოთა რუსეთი და წარსული წლის მაისს დაიდვა სავაჭრო ხელშეკრულება ამ ორ ქვეყანას შორის, მაგრამ აქედან მაინც და მაინც არაფერი გამოსულა რა. ეკონომიური ურთიერთობა სრულიად არ განვითარებულა იმ ტემპით, როგორც ეს შესაძლებელი და საჭირო იყო ორივე ქვეყნის სასარგებლოდ. მხოლოდ ამ ბოლო ხანებში, როდესაც საბოლოოდ გამოირკვა გერმანიის მმართველი წრეებისათვის, რომ საფრანგეთი ანტანტის დასტურით გერმანიის ხალხს სრულ განადგურებას უქადის, რომ ანტანტა სრულიად არ ფიქრობს შეუმსუბუქოს ვერსალის შედეგები, რასაც ამტკიცებს სხვათა შორის, ის გარემოება, რომ ბულონის თათბირზე გენუას კონფერენციის დღის წესრიგიდან ამოშალეს ამ ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხი, მხოლოდ ეხლა გერმანიის მთავრობის დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთის მიმართ ახალ და სასურველ სახეს იღებს. ამას ადასტურებს უკანასკნელად მიღებული ცნობები. რუსეთის დელეგაციას მოლაპარაკება ჰქონდა ბერლინში გერმანიის მთავრობასთან. მიღწეულია დიდმნიშვნელოვანი შეთანხმება: რუსეთი და გერმანია ერთად გამოვლენ გენუას კონფერენციაზე, გერმანელები მიიღებენ მონაწილეობას რუსეთის ეკონომიურ აღორძინების საქმეში; ორივე სახელმწიფოში აღდგენილ იქნება ურთიერთი წარმომადგენლობა.

ჩვენ ვესალმებით ამ შეთანხმებას, თუ ეს გატარდა რომელიც, ეჭვი არ არის, შემდეგ განვითარებას მიიღებს და უფრო კონკრეტულ ფორმებში ჩამოყალიბდება. სჯობია გვიან, ვინემ არასოდეს. ჩვენ ყოველთვის იმ აზრის ვიყავით, რომ რუსეთი და გერმანიის როგორც შინაური, ისე საერთაშორისო მდგომარეობა, აგრეთვე გეოგრაფიული მდებარეობა და წარსულში, ომამდე არსებული დამოკიდებულება, უსათუოდ მოითხოვდნენ ამ ორი ქვეყნის სჭიდრო დაახლოვებას და თანამშრომლობას. გერმანია, როგორც ვთქვით, ომიდან დამარცხებული და დასუსტებული გამოვიდა. მას ხვას ძალიან მცირე ანგარიშს უწევენ მსოფლიო პოლიტიკაში. ერთგვარი სიძლიერის აღსადგენად და მართებული გავლენის მოსაპოებლად მას ესაჭიროება ისეთი მოკავშირე, რომელიც საერთოდ ქომაგია ყველა დაჩაგრულის და ამასთან საკმაო-წონაც აქვს საერთაშორისო მასშტაბით. ასეთი კია საბჭოთა რუსეთი. უდავო ფაქტია, რომ დღეს რუსეთი უდიდესი ფაქტორია საერთაშორისო პოლიტიკის; იქიდგან მას უარყოფითად თუ დადებითად, მაინც მისთვის ანგარიშის გაუწევლად გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება ვერც ერთი მსოფლიო მნიშვნელობის საკითხი. ამიტომ რუსეთ-გერმანიის შეთანხმებას დიდი ღირებულება აქვს უკანასკნელისთვის, როგორც გენუას კონფერენციაზე, ისე საერთოდ გერმანიის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმისათვის. ამ შეთანხმებას დიდი ფასი აქვს აგრეთვე რუსეთისათვისაც, არა მარტო იმით, რომ კავშირი თავის-თავად ორივე მხარეს აძლიერებს, არამედ და განსაკუთრებით სხვა მხრივაც. ამას წინად ჩვენს გაზეთებში მოყვანილი იყო გაზ. „ტან“-იდან წერილი, რომელიც შიშს გამოსთქვამს, რომ რუსეთის ბაზარს, რომელიც აგრე საჭიროა ინგლისის მრეწველობისათვის, თანდათან ეტანებიან სხვები, სხვათა შორის, გერმანიაც. ჩვენ სხვები გვასწრებენ რუსეთთან სამეურნეო ურთიერთობის გაჩაღებაში, რაც საფრთხეს უმზადებს ინგლისსაო; ასეთი შიში ემჩნევა ბოლო დროს აგრეთვე საფრანგეთის მმართველ და ვაჭარ მრეწველთა წრესაც. რუსეთ-გერმანიის შეთანხმება უფრო დააფიქრებს ამ ხალხს, გასტეხს მათ ჯიუტობას და იძულებულს გახდის რუსეთთან საგრძნობ დათმობაზე წამოვიდნენ მართლაც, მათი მოსაზრება საფუძვლს არ არი მოკლებული. კერძოდ რუსეთ-გერმანიის ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენისათვის ფრიად ხელსაყრელი ობიექტიური პირობები არსებობს. ამ ქვეყნების მეზობლობა და სიახლოვე აადვილებს ურთიერთ აღებმიცემობას; ამასთან გერმანიის მრეწველობის ფაბრიკატებისათვის რუსეთი საუკეთესო ბაზარს წარმოადგენს; რუსეთს აგრეთვე ესაჭიროება ეკონომიურ ცხოვრების ასაღორძინებლად გერმანიის ტეხნიკა. სამაგიეროდ რუსეთი მიაწვდის გერმანიას თავის ნედლ მასალას. ამგვარად სამეურნეო თანამშრომლობა სასარგებლოა და აუცილებელი ორივე ქვეყნისათვის. ამას ხელს შეუწყობს, რა თქმა უნდა ის გამოცდილებაც, რომელიც აქვს რუსეთ-გერმანიას ამ სფეროში. როგორც ვიცით, წინეთ, ომამდე, გერმანია დიდ როლს თამაშობდა რუსეთის ეკონომიკაში და საკმაოდ გაცნობილი იყო უკანასკნელის სამეურნეო ცხოვრებას. მხოლოდ მაშინ რუსეთი ერთგვარ საახალშენო მდგომარეობაში იმყოფებოდა გერმანიის მიმართ, რომელიც ამასთან გარკვეულ გავლენას ახდენდა მის პოლიტიკურ ცხოვრებაზედაც. ამ ჟამად მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. გერმანიის საერთო მდგომარეობა ისეთია, რომ მას არ შეუძლია რაიმე გადაჭარბებული პრეტენზიები წარუდგინოს რუსეთს, მეორე მხრივ მუშურ-გლეხური მთავრობა არავის მისცემს ნებას —ამის საშუალება მას აქვს—რუსეთი ახალშენად ან გავლენის სფეროდ აქციოს. ეს ორი გარემოება და ზემოდ ხსენებული პირობები საკმაო საბუთს იძლევა, რომ რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა ჩადგება ნორმალურ კალაპოტში, და ამ ორ ქვეყნის თანამშრომლობა საგრძნობ შედეგებს მოუტანს როგორც რუსეთს, ისე გერმანიას.

ბ. ძ.

რადიო-დეპეშები

რუსეთის დელეგაცია გენუისაკენ

მოსკოვი, 10 აპრილი (რადიო). 4 აპრილს საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა ბერლინიდან იტალიაში.

— 5 აპრილს რუსეთის დელეგაცია ჩავიდა გენუაში.

— რომიდან იტყობინებიან: მიუხედავათ გენუაში, საბჭოთა დელეგაციის ჩასვლის ძალიანი ადრე დროისა, სადგურის წინ მაინც დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. საიდუმლო პოლიციის აგენტებმა შენიშნეს ხალხში ჯგუფი იტალიელ კომუნისტებისა, რომელთაც სურდათ აეფრიალებიათ წითელი დროშა მისასალმებელი წარწერით. დროშა უნდა აღემართად დელეგაციის გამოსვლის დროს. პოლიციამ ამ ჯგუფს დროშა ჩამოართვა. როდესაც გამოჩნდა ავტომობილები საბჭოთა დელეგატებით, კომუნისტები მათ შეხვდენ „გაუმარჯოს დელეგაციას“ ძახილით.

დელეგაცია მოთავსებულია ერთ-ერთ იტალიელ ნეგოციანტის შენობაში.

გენუას კონფერენცია

საფრანგეთის დელეგაციის ინსტრუქცია

ბორდო, 8 აპრილი (რადიო). საფრანგეთის მთავრობამ დაამტკიცა საფრანგეთის დელეგაციისათვის გენუას კონფერენციაზე პუანკარეს მიერ გამომუშავებული ინსტრუქცია. ამ ინსტრუქციის საფუძველს წარმოადგენს 1922 წლის 31 იანვრის საფრანგეთის მემორანდუმი. ამ მემორანდუმის ფარგლებში საფრანგეთის დელეგაციას წინადადება ეძლევა იმოქმედოს დეპუტატთა პალატასთან შეთანხმებით.

პარიზი, 8 აპრილი (რადიო). საფრანგეთის დელეგატები—ბარტუ, კოლრა და პიკარ სეიდუ შაბათს გაემგზავრენ გენუაში. რომიდან გენუაში წავიდა საფრანგეთის ელჩი ბარერი.

ბორდო, 8 აპრილი რადიო. პარიზის პრესა ხაზს უსვამს საფრანგეთის და ბელგიას შორის გამეფებულ შეთანხმებას გენუას კონფერენციის მთავარ საკითხებში. სრულიად იდენტიურია საფრანგეთის და ბელგიის ექსპერტების გადაწყვეტილება საბჭოთა მთავრობისგან მოთხოვნილ გარანტიებისა და რუსეთის აღდგენის შესახებ.

მისწრაფება ზავისადმი

პარიზი, 8 აპრილი რადიო. იტალიის პრემიერი ფაქტა აცხადებს: გენუას კონფერენცია, იტალიელების წარმოდგენით, არის გამოხატულება მშვიდობიანობისადმი უაღრესი მისწრაფების. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ძირითადი საკითხი კონფერენციის დღის წესრიგში; რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა და ძველი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება. კონკრეტიულად ფაქტამ ხაზი გაუსვა იმას რომ იტალიის დელეგაცია დაბეჯითებით მოითხოვს ქაღალდის ფულის შემდეგი ემისიის შეწყვეტას და შემოტანა-გატანის სრული თავისუფლების აღდგენას.

„ბენეშის აზრი“.

პარიზი. 8 აპრილი, (რადიო). სლოვაკიის პრემიერი ბენეში გამოსთქვამს შემდეგ „აზრს“: ის არის მტერი საბჭოთა რეჟიმისა, რომელიც აშენებულია აზრების დემოკრატიული სახით გამოთქმის ჩახშობაზე. ბენეშმა ამასთანავე აღნიშნა, რომ მცირე ანტანტა ასევე ეპყრობა რუსეთს.

რატენაუ გენუას შესახებ.

ბერლინი 8 აპრილი, (რადიო). რატენაუ, ახასიათებს რა გენუას კონფერენციას, სხვათა შორის ამბობს: მიუხედავად ყველა უარყოფითი მხარეებისა, მაინც არ შეიძლება ამ კონფერენციის მარცხსაც კი ექნება თავისი დადებითი მნიშვნელობა, ყველა ნაციები იმ დასკვნამდე მოვლენ, რომ კონტრიბუციის პრობლების გადაუჭრელად, შეუძლებელია ევროპის აღდგენა, ისევე, როგორიც ის შეუძლებელია ამერიკის აქტიურ მონაწილეობის გარეშე. გერმანიის სახელით, რატენაუმ განაცხადა, რომ გერმანიის სახელმწიფოებრივობა უეჭველად სცნობს თავის ვალდებულებებს და მისწრაფვის ევროპის აღდგენის უანგარო და აქტიურ მონაწილეობისაკენ.

მოლაპარაკება დაიწყო.

რომი. 8 აპრილი, (რადიო). რომის გაზეთები ამტკიცებენ, რომ შანცერი მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთის და ინგლისის დელეგატებთან და მცირე ანტანტის წარმომადგენლებთან.

ნეიტრალურ სახელმწიფოთა პოზიცია.

ბერლინი. 8 აპრილი, (რადიო). ნეიტრალურ სახელმწიფოს დელეგატებმა პარიზის გაზეთების კორესპონდენტებთან განაცხადეს, რომ მათი აზრით ევროპამ უმთავრესი და სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს გენუას კონფერენციას. ერთმა დელეგატმა განაცხადა: უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ გერმანიას არ ექნება იმედი ნეიტრალურ სახელმწიფოების დახმარებისა სესხის აღებაში მინამდე, სანამ გერმანია იმყოფება ინგლისისა და საფრანგეთის მუქარის ქვეშ, რომლებიც სდგანან თავიანთ მიუღებელ მოთხოვნილებაზე.

წინასწარი ზომები.

ნაუენი. 8 აპრილი, (რადიო). რუსეთის დელეგაციის მოგზაურობა ბერლინიდგან გენუაში ბრონესის გზით დასრულდა უინციდენტოთ. გვირაბი დაცული იყო ჯარის კაცების მიერ განსაკუთრებით სერიოზული წინასწარი ზომები მიღებული იყო იტალიაში.

ფაშისტების შორის.

ბორდო. 8 აპრილი, (რადიო). ფაშისტებსა და სოციალისტებს შორის მოხდა შეტაკება იტალიის სხვა და სხვა ქალაქებში. კრემონაში იყო რამოდენიმე მსხვერპლი.

პუანკარე და გენუა.

ნაუენი. 8 აპრილი (რადიო) „ეხოდეპარი“ იუწყება: ლოიდ ჯორჯი მიიღებს ყოველივე ზომებს, რათა დაარწმუნოს პუანკარე, რომ საფრანგეთის სახელით მთელი რიგი საკითხების გადასაჭრელად, საჭიროა პუანკარე პირადად დაესწროს გენუის კონფერენციას, ან მისცეს საკმაო ფართო უფლებები საფრანგეთის დელეგაციას. გაზეთი ამავე დროს აღნიშნავს, რომ ყოველივე ღონის ძიება ლოიდ ჯორჯისა ამ ხრივ იქნება უშედეგოდ: პუანკარე არ მიიღებს ლოიდ ჯორჯის წინადადებას იმ მიზეზით, რომ მან დეპუტატთა პალატს აღუთქვა შეპირება.

რუსეთის დელეგაციის მოთხოვნილებანი.

ბერლინი. 8 აპრილი (რადიო) რუსეთის დელეგაცია გენუაში წარადგენს შემდეგ მოთხოვნილებას: 1. ცნობილ იქმნას რუსეთის საკომერციო დროშა სავაჭრო გემებზე. 2. მიეცეთ უცხოელთა ნავთსადგურებში თავისუფალი მიმოსვლის უფლება. 3. დაუბრუნდეს რუსეთს თავისი გემები, რომლებიც ეხლა საზღვარ გარეთ იმყოფებიან 4. მიეცეს რუსეთს მონაწილეობის უფლება დარდანელზედ კანტროლში.

წინასწარი თათბირი.

პარიზი. 8 აპრილი (რადიო) „პტი-პარიზენის“ ცნობებით ანტანტის დელეგატებს გენუის კონფერენციაზე განზრახვა აქვთ კვირას გენუაში გამართონ წინასწარი თათბირი. ამ თათბირზე იქნება არჩეული სამანდატო კომისია, რომელიც გამოარკვევს რომელი სახელმწიფოები მიიღებენ მონაწილეობას კონფერენციაზე და რომელ სახელმწიფოთა დელეგატები უკვე ჩამოვიდნენ.

უცხოელთა პრეტენზიები.

ბერლინი. 8 აპრილი (რადიო) მოსკოვიდან მიღული ცნობებით გამოქვეყნდა დეკრეტი უცხოელ, მესაკუთრეების შესახებ: დეპოზიტების მესაკუთრეებმა რომლებიც ინახებოდა ყოფილ რუსულ ბანკებში უნდა განაცხადონ თუ რაიმე პრეტენზიები აქვთ რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან საზღვარ გარეთ. თუ ეს პრეტენზიები ცნობილ იქნა კანონიერად, მაშინ მესაკუთრეები, მიიღებენ თავიანთ დოკუმენტებს და ღირებულებებს, რომლებიც ინახებოდენ ბანკებში.

კონფერენციის პირველი სხდომა.

მოსკოვი. 10 აპრილი. (რადიო). რომიდან იუწყებიან, რომ გენუის კონფერენციის პირველი სხდომა შესდგება კვირას 9 აპრილს. ამ სხდომაზე განიხილავენ თვითეულ დელეგაციის რწმუნების საკითხს. სხვათაშორის გარჩეული იქნება რუსეთის დელეგაციის თვითეული წევრის გვარის საკითხი, რომელთაც იცნობენ მხოლოდ პარტიული ფსევდონიმებით, და რომელიც იურიდიულ დოკუმენტებში არ შეიძლება იქნეს შეტანილი.

კონფერენცია და რუსეთის საზღვარგარეთელი ორგანიზაციები.

მოსკოვი. 10 აპრილი. (რადიო). **იტალიის მთავრობამ უარი განაცხადა გენუაში, კონფერენციის მუშაობის დროს, რუსეთის იმ ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩამოსვლაზე, რომელნიც საზღვარ გარეთ არსებობენ. იტალიის მთავრობა აცხადებს, რომ არც ერთი რუსი, გარდა საბჭოთა რუსეთის ოფიციალურ დელეგაციის წევრებისა, დაშვებულ არ იქნებიან გენუაში.**

ერთა ლიგა და კონფერენცია.

მოსკოვი. 10 აპრილი. (რადიო). ლონდონიდან 5 აპრილის თარიღით იტყობინებიან: საფრანგეთის ცდა, გენუის კონფერენციის ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ დაყენებისა, უშედეგოთ დამთავრდა იტალიისა და ინგლისის მიერ ამ საკითხში მიღებულ მტკიცე პოზიციის მეოხებით. ერთა ლიგის კონფერენციაზე მონაწილეობა შემოფარგლულ იქნება გენუაში ერთა ლიგის ფინანსიური და ეკონომიური კომისიების წარმომადგენლების დასწრებით.

საფრანგეთი და გენუა.

მოსკოვი, 10 აპ. (რადიო). საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ გენუას კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებათ, ექნება საფრანგეთისათვის სურვილის ხასიათი, რომელიც შეუძლია მას მიიღოს და უარყოს კიდეც.

— ვარშავიდან 7 აპრილის თარიღით იუწყებიან: გაზეთ „ტან“-ის ცნობით იტალიის მთავრობა შეეკითხა საფრანგეთის მთავრობას თანახმაა თუ არა იგი, შეიქმნას სპეციალური კომისია კონფერენციის მუშაობის განსაწესრიგებლად. საფრან-

წითელი პრესა

საბჭოთა რუსეთის პოზიცია

მოსკოვის „პრავდა“ აქვეყნებს ამხ. ჩიჩერინის ინტერვიუს, რომელიც მიუცია მას „პრავდისა“ და „იზვესტიის“ წარმომადგენლებისთვის გენუას კონფერენციისა და იმ პოზიციის შესახებ, რომელსაც დაიცავს საბჭოთა რუსეთის დელეგაცია ამ კონფერენციაზე.

„პრინციპიალური შეხედულება ჩვენი დელეგაციის—უთქვამს ამხ. ჩიჩერინს—ნათელია და საკმაო გარკვეულობით ქვეყნდებოდა ხოლმე: ის ულტიმატიურათ დაიცავს საბჭოთა წესწყობილებისა და რუსეთის სახელმწიფოს სუვერენულ უფლებების ხელშეუხლებლობას, დაიცავს იმ ეკონომიურ საფუძვლებს საბჭოთა ხელისუფლებისას, რომელთა დატოვება საფრთხეს მოუმზადებდა საბჭოთა რეჟიმს და სხვის მონათ გახდიდა რუსეთის მშრომელთა მასსებს. რუსეთის მუშურ-გლეხური ხელისუფლების და მისი სუვერენული უფლებების დამცირებას ჩვენ ვერ დავუშვებთ. მშრომელთა მასსების უფლებები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მათ დამონებისაგან, უნდა დარჩეს უეჭველათ ხელშეუხებელი და შენარჩუნებულ იქნენ ყოველნაირი საშუალებით. მუშურ-გლეხური ძალაუფლების, მუშათა მასსების უფლების და საბჭოთა რეჟიმის ეკონომიური საფუძვლების აუცილებელი ხელშეუხებლობის ფარგლებში სრულიად მოსახერხებელია კაპიტალთან შეთანხმება განსაზღვრული ხელშეკრულებათა საშუალებით, რომელიც მისცემს ჩვენ მომავალ კონტრაგენტებს საკმაო მოგებას, რომ შესაძლებელი იქნეს მათი დაინტერესება ჩვენი საქმეებით და იმავე დროს საშუალებას მისცემს რუსეთს აღადგინოს და განავითაროს თავისი წარმოება და ტრანსორტი“.

გეთმა ამის თანხმობა განაცხადა და თავის მხრივ. სურვილი გამოსთქვა, ყველა ევროპიულ სახელმწიფოს თვითეულ კომისიაში თანასწორი წარმომადგენლობის ყოლისა, გარდა ამისა იტალიამ წინადადება შეიტანა, პოლიტიკური საქმეების შესახებ, განსაკუთრებული კომისიის დაარსებისა. საფრანგეთის მთავრობამ ეს წინადადება უარყო, რადგან ზედმეტ გარემოებათ ჩასთვალა ასეთი კომისიის შექმნა.

— საფრანგეთის პრესა აღნიშნავს იმ თანხმობას, რომელიც არსებობს საფრანგეთისა და ბელგიის კაბინეტების შორის გენუას კონფერენციის ყველა მთავარ საკითხებში.

— 3 აპრილს საფრანგეთის გენუას დელეგაციის წევრები ბარტუ, კოლრატი, სეიდი და პიკარი მიწვეულ იყვნენ გარეშე საქმეთა სამინისტროში, სადაც პუანკარემ სიტყვიერი განცხადების შემდეგ, გადასცა მათ მემორანდუმი, რომელიც იქნება დელეგაციის სახელმძღვანელოთ გენუაში.

— ლონდონიდან 5 აპრილის თარიღით იტყობინებიან. გაზ. „დეილი ტელეგრაფის" პარიზელ კორესპონდენტის ცნობით, საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: საფრანგეთის დელეგაცია არ უნდა დაეთანხმოს იმ ახალ წინადადებებს, რომელიც წამოყენებულ იქნებიან გენუაში მანამდის, სანამ ამ წინადადების შესახებ წინასწარ არ ექნება მოლაპარაკება პარიზთან.

გერმანია და გენუა.

მოსკოვი. 10 აპრილი (რადიო) სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის დელეგაცია არ მიიღებს ინგლისის გეგმის საერთაშორისო სინდიკატისას და დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან თანამშრომლობას რაც შეადგენს ერთად ერთ გამოსავალს. თვითონ გერმანია შეეცდება რუსეთში ტრანსპორტის აღდგენას. გერმანია მიიღებს თავის თავზე რუსეთსა და გერმანიის შორის პირდაპირი საერთაშორისო მიმოსვლის აღდგენის და წყლით სავალი გზების გაუმჯობესების წინადადებას.

ლოიდ ჯორჯი და რუსეთის საკითხი

მოსკოვი. 9 აპრილი, (რადიო). ლონდონიდან 4 აპრილის თარიღით იტყობინებიან, რომ ლოიდ ჯორჯის მიერ თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში უმთავრესი ადგილი დათმობილი ქონდა რუსეთის საკითხს. ლოიდ ჯორჯმა პირველ ყოვლისა განაცხადა, რომ რუსეთთან ზავის შეკვრის საკითხი—გენუას კონფერენციის პროგრამის ყველაზე უფრო სადავო საკითხთაგანია. ორატორმა არ უარყო საფუძვლიანობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მიმართული მოხსენებისა, მაგრამ მოიყვანა **ციტატები პიტის სიტყვებიდან, საფრანგეთის რევოლიუციის დროს წარმოთქმული, რომელშიაც პიტი მოითხოვდა საფრანგეთის რევოლიუციონური მთავრობის ცნობას. შემდეგში, პრემიერმა აღნიშნა, რომ გერმანიას არ შეუძლია შეასრულოს თავისი სეპარატიული ვალდებულებანი, მანამდის, სანამ რუსეთი არ იქნება აღდგენილი.**

შეეხო რა კანის რეზოლიუციებს, ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: „რუსეთმა უნდა იცნოს თავისი სახელმწიფოებრივი ვალები. მაგრამ მას არ შეუძლია დაუყონებლივ მისი გადახდა. და ამას არც არავინ მოელის მისგან. საერთოდ არავის არ შეუძლია თავისი ვალების დაუყონებლივ გადახდა. თვითონ პუანკარემაც განაცხადა, რომ საფრანგეთს არ შეუძლია დაუყონებლივ გადაიხადოს ამერიკას ვალებით. ესევე უნდა ითქვას რუსეთის მიმართაც, მაგრამ რუსეთმა უნდა იცნოს პასუხისმგებლობა ვალებისა, როგორც ეს ჩაიდინეს ინგლისმა და საფრანგეთმა. და იმ მომენტში, როდესაც იგი იცნობს ამის აუცილებლობას, აიწევა მისი ღირსებაც. მისი თანხმობის ერთმა შესაძლებლობამაც კი, ასწია მისი შანსები. ერთა ლიგის ხელშეკრულობა პრინციპში რუსეთზედაც უნდა იყოს გავრცელებული, ე. ი. თუ კი რუსეთი უარს განაცხადებს დაეცეს თავის მეზობლებს, მაშინ ამ უკანასკნელებმაც თავს უნდა იდვან აქედან გამომდინარე სათანადო ვალდებულებანი. ერთად-ერთი განსხვავება იქნებოდა მხოლოდ იმაში, რომ ჩვენ ვერ ვეკისრებდით რუსეთის საზღვრების დაცვას იმ შემთხვევაში, თუ მას ვინმე დაეცემოდა.

სურს თუ არა რუსეთს მიიღოს ეს პირობები? არის ისეთი ნიშნები, რომელიც მაჩვენებელია რუსეთის პოლიტიკის ძირიანად შეცვლისა. გამოცემულია ახალი დეკრეტები, რომელშიც აღიარებულია კერძო საკუთრება, დაწესებულია სასამართლოები, რომელნიც აიკვევენ კანონიერ პასუხისმგებლობას".

ლოიდ ჯორჯმა მოიყვანა შემდეგ სავსებით ლენინის მიერ 1921 წლის 1 ნოემბერს წარმოთქმული სიტყვა და განაცხადა: „თუ ყოველივე ეს მაჩვენებელია იმისა, რომ რუსეთი მართლაც მზად არის დამოკიდებულება იქონიოს დასავლეთთან კერძო საკუთრებისა, ინდივიდუალური თავისუფლებისა და ვალების ცნობის საფუძვლებზე, მაშინ მართლაც იქმნება ბაზა, რომელზედაც შეგვიძლია ავაშენოთ მშვიდობიანობა. რუსეთის როგორ ცნობას გამოიწვევს ეს შედეგათ? დადასტურებამდის (გამოტოვებულია—დამახინჯებულია) არავითარი ნაბიჯი არ იქნება გადადგმული ფორმალური ცნობისათვის. ხოლო დადასტურების შემდეგ ცნობის აქტმა უნდა გაიაროს ყველა ეს სტადიები, რომელნიც მისდევენ ერთი მეორეს საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა გემების რუსეთის ნავთსადგურებში და აგრეთვე რუსის მოქალაქეთა გემების სხვა სახელმწიფოთა ნავთსადგურებში შესვლა. მოხსენებული იქნება დაწესება ჩვეულებრივი სააგენტოსი სავაჭრო ინტერესებისა და აგენტების დასაცავად, რომელნიც დანიშნულნი იქნებიან ორსავე მთავრობის თანხმობით თუ რა ფორმაში ჩამოყალიბდება რუსეთის დიპლომატიური ცნობა, ამის შესახებ არა ერთხელ განვიცხადებია. ეჭვს გარეშეა, რომ სავსებით დიპლომატიურ ცნობას წინ უნდა უძღოდეს გამოცდის პერიოდი. აუცილებლად საჭიროა ორივე მხარეში აღდგენილ იქნეს დიპლომატიური წარმომადგენლობა, თუმცა აცხადებენ, რომ მისი შინაარსი და ხასიათი უნდა განისაზღვროს, არა მარტო იმ პირობებით, რომელნიც მზად არის იცნოს რუსეთმა, არამედ რეალური სინამდვილითაც და მისი კეთილსინდისიერი შესრულებით.

თემთა პალატის მიერ მომავალი ხელშეკრულების რატიფიკაციამდე, არ შეიძლება მოხდეს რაიმე ცვლილება რუსეთის წარმომადგენლობასა და მისი დიპლომატიური ცნობის ფარგალში. თუ ეს შეთანხმება დადასტურებულ იქნა, რუსეთის მიმართ იმავ სახის მოქმედებას ექნება ადგილი, რომელსაც ჩვენ ვხმარობთ გერმანიის წინააღმდეგ. რუსეთს არ მიეცემა დიპლომატიური წარმომადგენლობის ყველა უფლებები მანამდის, სანამ ჩვენი სახელმწიფოები არ დარწმუნდებიან რუსეთის მიერ თავის თავზე აღებულ ვალდებულებათა შესრულების მეცადინეობაში.

მანამდის რუსეთს არ ეყოლება მხოლოდ რწმუნებული, ჩვენ კი სათანადო აგენტები, მანამდის სანამ არ იცნობენ შესაძლებლად აღადგინონ დიპლომატიური დამოკიდებულების მთელი რიტუალი. გერმანიისათვის ასეთი ხანა დადგა ზავის ხელშეკრულობის ხელის მოწერიდან 12 თვის გასვლისა და ამ ხელშეკრულობის სახელმწიფოთა რატიფიკაციიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. ასეთ ვადას ამ შემთხვევაშიც ექნებოდა იმ გამოცდას პერიოდის სახე, რომლის დაწესებაც მიზანშეწონილი გარემოება იქნებოდა. აი ის პირობები, რომლითაც ჩვენ ვაიარაღებთ გენუაში მიმავალ ბრიტანეთის დელეგატებს. მე არა მაქვს იმედი, რომ ხსენებული გეგმის დადებითი შედეგები თავიდანვე გამოაშკარავდეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს გეგმა შლის ახალ პერსპექტივებს ვაჭრობისათვის. სხვა გამოსავალი არ არის, რადგან არავის არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს საბჭოთა მთავრობის მოსპობა. (დამახინჯებულია) ამ ჟამად, როდესაც უმუშევართა საკითხი ამდენად გამწვავდა, როდესაც ევროპის ნახევარი ფაქტიურად დახურულია ვაჭრობისათვის, ინგლისის მუშებს არ სურთ ტყუილად იცადონ, თუ კი არსებობს რეალური შანსები ზავის ჩამოსაგდებად.

თავის სიტყვის დასასრულში ლოიდ ჯორჯი შეეხო უკანასკნელ დამატებითი არჩევნებს და აღნიშნა, რომ ხალხი მემარცხენდება. თემთა პალატაში შემოვიდა სამი ახალი წევრი, რომელნიც ხმას მისცემენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის დაუყონებლივ და უპირობოთ ცნობას. ამ გარემოებას აუცილებლათ უნდა გაუწიოთ ანგარიში. ჩვენ ყოველივე ზომებს ვღებულობთ იმისათვის, რომ რუსეთთან დაახლოვების საკითხში ვიაროთ საფრანგეთთან ხელი ხელ ჩაკიდებული. ჩვენ ყველა შესაძლებლობათ გაუწიეთ ანგარიში და გარწმუნებთ თქვენ. რომ ზავი არ იქნება ჩამოგდებული, თუ ჩვენ ამას ვერ მივაღწევთ, ეს მოხდება მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს პირები, რომელთაც ეს არა სურთ. რომ მათ სურდეთ თავის ქვეყანაში შექმნან მოძრაობა ზავის სასარგებლოთ, ჩვენ შეგვეძლია უთხრათ მათ: „თქვენ ეს შეგიძლიათ, თქვენ ამას მიაღწევთ. დაე ისინი დროზე გამოფხიზლდნენ".

ლოიდ-ჯორჯის სიტყვის გარშემო.

მოსკოვი. 9 აპრილი. (რადიო). საფრანგეთის პრესა საერთოდ კმაყოფილებით შეხვდა ლოიდ ჯორჯის სიტყვას. ნაციონალისტური ორგანოები კმაყოფილნი არიან იმ პოზიციით, რომელიც ლოიდ-ჯორჯმა დაიკავა რუსეთისა და გერმანიის საკითხში—და განსაკუთრებით იმითი რომ პრემიერმა ასე დაჟინებით მოითხოვა რუსეთისათვის გამოცდის პერიოდის დანიშვნა. ამის შესახებ გაზეთი „ეხო-დე პარი" ამბობს რომ გარანტიები, რომელსაც თხოულობდა საფრანგეთი უკვე მოცემულია. მაგრამ საფრანგეთის **პრესა მაინც გამოსთქვამს ერთგვარ საშიშროებას ლოიდ-ჯორჯისაგან მოსალოდნელ ზოგიერთ სიურპრიზების შესახებ.** ასეთ საშიშროებაზე ლაპარაკობს გაზეთი „ჟურნალი". გაზეთი „ტან" საერთოდ იწონებს პრემიერის სიტყვას, მაგრამ ძალიან უკმაყოფილოა პრემიერის მიერ რუსეთის რევოლიუციის საფრანგეთის რევოლიუციასთან შედარებით.

გაზ. „დეილი გერალდის" დიპლომატიური კორესპონდენტის ცნობით საფრანგეთის ოფიციალური წრეები ძალიან კმაყოფილნი არიან ინგლისის პოზიციით კორესპონდენტის აზრით ლოიდ ჯორჯი თანდათან დაუთმობს საფრანგეთს. რადგანაც იგი მიემხრო საფრანგეთის თვალსაზრისს რუსეთის ცნობის საკითხში, პრემიერი ალბად დაეთანხმება საფრანგეთის ექსპერტების მოთხოვნილებასაც დაწესებულ იქნეს რუსეთის სახელმწიფოებრივ შემოსავალზე მოკავშირეთა კონტროლი, რუსეთის მიერ ვალების ცნობის გამო.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. კალინინის მოხსენება.

მოსკოვი. 6 აპრილი, (რადიო). ოთხ აპრილს მოსკოვში შესდგა საბჭოს პლენუმის სხდომა მუშათა ორგანიზაციების და მოსკოვის გარნიზონის წითელ არმიელთა წარმომადგენლებთან ერთად. საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კალინინი, რომელმაც სთქვა, რომ ოფიციალურად აღნუსხული დამშეულთა რიცხვი უდრის 15,500,000 კაცს. ეს არის დამშეულები ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მაგრამ კიდევ არის დიდი კადრი—10 მილიონი კაცი, რომლებიც ფორმალურად არ არიან აღნუსხული. მაგალითად: უკრაინის 4 გუბერნია: ოდესის, ხერსონის, ნიკოლაევის და ეკატერინოსლავის ითვლებიან დამშეულებათ, ამავე დროს მთავრობა (დამახინჯებულია): 1 აპრილისათვის დამშეულ ადგილებში გახსნილი იყო საზოგადო კვების 10,588 სასადილო. ეს სასადილოები იღებენ სურსათ-სანოვაგეს იმ 12 მილიონიან ფონდიდან, რომელიც გადადო მთავრობამ საზოგადო კვებისათვის. სასადილოებში იკვებება 1,618,992 კაცი. დამშეულ რაიონებში გაგზავნილია ფულის ნიშნები—65 მილ. ოქროთი. ეს გადაგზავნილია უშუალოდ მთავრობის მიერ 1 აპრილამდი. დამშეულთა შორის განაწილებულ იქნა შემოდგომის თესვისათვის 11 მილიონი ფუთი სათესი მასალა, გაზაფხულის თესვისთვის გადაიდვა 21,100 ვაგონი მარცვალი; ამ სათესლე მასალიდან 52 პროც. უკვე დარიგებულია ადგილებზე, დანარჩენი გზაშია. სახელმწიფოს ხარჯები დამშეული ადგილების დასახმარებლად გამოიხატა დახლოვებით 160 მილ. მან. ოქროთი. კერძო დახმარება უდრის 10—15 მილ. მან. ოქროთი. თუ შევადარებთ ამ დახმარებას მეფის მიერ გაღებულ ხარჯებს დამშეულთა დასახმარებლად 1891 წელს შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დახმარება ბევრათ უფრო მეტია. მიუხედავათ მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, რომელშიდაც იმყოფება ჩვენი რესპუბლიკა, ჩვენი ძალების დაჭიმვა 10-ჯერ აღემატება ძველი მთავრობისას. „დამშეულთა რიცხვი, ამბობს ამხ. კალინინი, იზრდება დღითი დღე. ყველა დამშეულების დასაკმაყოფილებლად საბჭოთა რესპუბლიკას ამ ჟამად ძალიან ცოტა პროდუქტები აქვს. თუ ჩვენ გვინდა გამოვკვებოთ მცხოვრებლები უნდა მოვიტანოთ პური საზღვარგარეთიდან. ამისათვის კი საჭიროა ოქრო. მაგრამ იმის გამო, რომ მთავრობის ოქროს ფონდი მეტად განსაზღვრულია, მის წინ წამოიჭრა ამოცანა სახელმწიფოს შიგნით ამ სახსრის გამოძებნისა. ადგილებიდან მთავრობის მისამართით ისმოდა სიტყვები: „რას უყურებთ, რატომ არ ჩამოართმევთ ეკლესიებს ზედმეტ ოქრო-ვერცხლს და არ მოახმართ მათ დამშეულებს".

ამხანაგი კალინინი აღნიშნავს, რომ დეკრეტის განხორციელების დროს განძეულობის ჩამორთმევის შესახებ საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო ყველა ზომები, რომ არ შელახულიყო ეკლესიის და სარწმუნოების უმთავრესი დოგმები. საბჭოთა ხელისუფლებამ რაც შეიძლებოდა ყოველგვარი საშუალებებით შეეცადა, რომ ამ ნიადაგზე არ ყოფილიყო არავითარი გაუგებრობა, გამოცემულ იქნა განსაზღვრული ბრძანებები, რომ განძეულობას, ჩამორთმევა მოეხდარიყო ყველგან მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობების მეტად რბილი მოპყრობით. კამპანია დაიწყო. მთელ რიგ გუბერნიებში ის დასრულდა. 30 მარტისათვის სხვა და სხვა გუბერნიებში შეკრებილი იყო 3 ფ. 25 გირ. 50 მისხალი ოქრო და 685 ფ. ვერცხლი, 1163 ცალი რელიგიოზური ძვირფასი ნივთი, საბჭოთა ხელისუფლება შეეცდება ამ სიმდიდრით რაც შეიძლება მალე შეისყიდოს პური საზღვარ გარეთ დამშეულებისათვის.

ამხ. კალინინის მოხსენების შემდეგ განსაკუთრებული გრძნობიერი სიტყვით გამოდის უპარტიო მუშა ფილიპოვი, მოსკოვის საბჭოს წევრი კურსკის გზის რკინისგზელებისაგან. ის ამბობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება აღჭურვილი იყო საკმაო რწმუნებებით უპარტიო მუშათა მასისაგან რომ მიღებული ყოფილიყო ყოველგვარი ზომები დამშეულთა დასახმარებლად. ამხ. ფილიპოვი აღნიშნავს, რომ რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დეკრეტების განხორციელების დროს საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიჩინა ზედმეტი სირბილე. ამხ. ფილიპოვი ამბობს: „თუ უნდა გამოვკვებოთ ხალხი და ამისთვის საჭიროა ჩამოვხსნათ ზარები, მაშინ ისინი უნდა ჩამოვხსნათ, რადგანაც მუშების და გლეხების სიცოცხლე უფრო ძვირფასია ამ განძეულებაზე.

მთელი რიგი სხვა ორატორებისა აგრეთვე მოითხოვენ ცენტრალურ აღმასკომის დეკრეტის დაუყონებლივ და მტკიცე გატარებას.

ამხ. კალინინის მოხსენების გამო მოსკოვის საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ უმაღლესი სამღვდელოება გულგრილად უცქერის დამშეულთა წამებით სიკვდილს, მისი სული და გული დამშვიდებულათ იტანს დამშეულ ბავშვების სიმშილით სიკვდილის საშინელ სურათს და ადამიანის ხორცის ჭამას; მათ ყურს არ წვდება დამშეულების გმინვა და ხვეწნა; მათ არ უნდათ დაემორჩილონ ხელისუფლების დეკრეტს. რეზოლიუციაში შემდეგ აღნიშნულია, რომ უმაღლეს სამღვდელოებას სურს ეს უბედურება გამოიყენოს მთავრობასთან საბრძოლველად. უმაღლეს სამღვდელოების ფარისევლობა უკვე გამომჟღავნებულია იმ მღვდელთ-მსახურებისაგან, რომლებსაც შერჩათ ადამიანის სინდისი და რომლებიც აღშფოთებული არიან ეკლესიის მსახურების გაუმაძღრობით, რომლებსაც არ სურთ მკვდარი ოქროს და ვერცხლის გაღება დამშეულებისთვის, ეს ხალხი თავისი აგენტების საშუალებით ეწევიან პროვოკაციულ მუშაობას. მოსკოვის პლენუმი საჭიროდ სთვლის ყველა ამას მოუღოს ბოლო. საბჭო არ დაუშვებს, რომ მკვდარი ეკლესიების კარებთან სიმშილით იხოცებოდეს ხალხი, რომლების შრომითაც შექმნილია ქვეყნის მთელი სიმდიდრე.

კაპიტალიზმის სამეფოებში

რუსეთი და საფრანგეთი.

მოსკოვი. 9 აპრილი, რადიო. საფრანგეთის პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში პუანკარემ განაცხადა, რომ რუსეთმა წინადადება მისცა საფრანგეთს მასთან სეპარატიული მოლაპარაკების დაწყებისა, რომელიც, როგორც ის აღნიშნავდა, მიმართული უნდა იქნეს საფრანგეთის მოკავშირეების წინააღმდეგ. პუანკარეს ეს განცხადება კატეგორიულად უარყო ჩიჩერინმა ბერლინში მიცემულ ინტერვიუში. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის განცხადება ფართოდ გამოაქვეყნეს ევროპის პრესაში. ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ პუანკარეს ეს განცხადება მოკლებულია ყოველ საფუძველს და განზრახულია იმ ანგარიშით, რომ შექმნას გართულება რუსეთისა და ინგლისის დამოკიდებულებაში.

რუსეთი და პოლონეთი.

მოსკოვი, 9 აპრილი, რადიო. ვარშავის გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა" იუწყება, რომ პუანკარეს საუბრის დროს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სკირმუნტთან პარიზში, მოვიდა დეპეშა რიგიდან ბალტიის სახელმწიფოების კონფერენციის შედეგების შესახებ. პუანკარემ არ დამალა თავისი შთაბეჭდილება, რომელიც მასზე მოახდინა რიგის ოქმმა და გამოსთქვა აზრი, რომ პოლონეთის საგარეო პოლიტიკაში მოხდა რაღაც ცვლილება. სკირმუნდი მთელი თავის ძალღონით სცდილობდა დაერწმუნებია პუანკარე, რომ რიგის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა სრულიადაც არ სცვლის პოლონეთის პოზიციას. თუმცა და პარლამენტის ბევრი დეპუტატები ფიქრობენ, რომ პოლონეთს განზრახული აქვს აწარმოოს ორმაგი თამაში.

— ლონდონის პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, სკირმუნდმა განაცხადა, რომ პოლონეთი არამც თუ არ გადაეღობება წინ საბჭოთა რუსეთის ცნობას, პირიქით ის მხარს დაუჭერს ამ მოთხოვნილებას.

იტალიის მუშებს შორის

მოსკოვი, 9 აპრილი, რადიო. რომიდან 4 აპრილის რიცხვით იტყობინებიან: წისქვილებზე და მაკარონის ქარხნებში მუშების გაფიცვა დამთავრდა მუშების გამარჯვებით. გაფიცვას ენერგიულად მხარს უჭერდა იტალიის პროლეტარიატი.

საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი.

ნაუენი. 3 აპრ. (რადიო) ბერლინში სამი ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტების კონფერენციამ დაასრულა თავის მუშაობა. მიიღეს წინადადება შექმნან სამივე სოციალისტურ პარტიათა აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენლებისაგან 9 კაცისაგან შემდგარი გაერთიანებული კომიტეტის ახალ კონფერენციის მოსაწვევად, რომელსაც მიზნათ ექნება მუშათა მოძრაობის მთლიანობის დაცვა და პროფესიონალურ კავშირების გაერთიანება ეროვნულ და საერთაშორისო საფუძვლებზე. კონფერენციამ გამოსთქვა სურვილი საერთაშორისო მასების მიერ დემონსტრაციების მოწყობის შესახებ გენუას კონფერენციის მოწვევის გამო, ვინაიდგან სოციალისტურ კონფერენციის მოწვევა გენუას კონფერენციასთან ერთად შეუძლებელი შეიქნა დროის უქონლობის გამო.

ნუ თუ მართალია.

ბერლინი. 8 აპრ. (რადიო) ანგორის მთავრობამ აცნობა კონსტანტინოპოლის მთავრობას, რომ მას განზრახვა აქვს მიიღოს მოკავშირეების მიერ დროებითი ზავის პირობები.

ბორდო. 8 აპრ. (რადიო). ცნობა ანგორის მთავრობის მიერ დროებით ზავის პირობების მიღების შესახებ მართლდება. ანგორა ერთ ერთ პირობად აყენებს ბერძნებისაგან სმირნის განთავისუფლებას.

აღმოსავლეთში

საბერძნეთი.

ჟენევა. 8 აპრილი, (რადიო) საბერძნეთის პარლამენტმა მიიღო შინაური იძულებითი სესხის კანონ-პროექტი.

პროტესტი დროებითი ზავის წინააღმდეგ.

ტრაპიზონი. 5 აპრილი, (რადიო). ანგორიდან ოფიციალურად იუწყებიან: ინ ენთან გამარჯვების წლის თავზე ანატოლიის ყველა ქალაქებში გაიმართა სახალხო დღესასწაული. წარმოთქმული სიტყვებში ყველგან მკაცრად აკრიტიკებდენ გამარჯვების წლის თავთან მოხვედრილ დროებითი ზავის წინადადებას. ყველა ქალაქებში გამოიტანეს რეზოლიუციები, და დეპეშით აცნობებს ანგორის მთავრობას დროებითი ზავის უარყოფის საჭიროებას რადგანაც ის ეწინააღმდეგობა „ეროვნულ აღთქმის" საფუძვლებს. ყველაზედ მრავალრიცხოვანი გრანდიოზული დემონსტრაციები გაიმართა ადანში. ადგილობრივი გაზეთი „ენი-ადანა" მეთაურში სწერს: ვინც მიიღებს დროებითი ზავის პირობებს, ის იქნება ჩვენი ხალხის მტერი. ჩვენ წინააღმდეგ განზრახულია მეორე სევრის ხელშეკრულება. წინადადების მიღება იქნება შეურაცხყოფა კეთილშობილი მსხვერპლთა სისხლისა, რომელიც დაიღვარა ინ-ენთან. ჩვენ გვჭირდება ზავი, ჩვენ უნდა მოვიქცეთ სამართლიანად, სინდისიერად და კეთილშობილურად.

ახალი გამარჯვება.

ბერლინი. 8 მარტი. რადიო. ბერლინის პრესა იუწყება საბჭოთა რუსეთს და კენიგსბერგს შორის კოვნოს და დინაბურგის ხაზით პირდაპირი რკინის გზის მიმოსვლის აღდგენის შესახებ. აღდგენილია აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის კავშირი.

გადასახადი სპეკულიანტებზე.

ტრაპიზონი. 7 აპრილი, (რადიო). „ისტიკბალის" ცნობით დიდმა ეროვნულმა კრილობამ დაადგინა დაადოს გადასახადი იმ პირთ, რომლებიც გამდიდრდენ ომის დროს ვილაეთებში, რომლებიც მტრის მიერ არ იყო დაჭერილი.

ამერიკის ჯარების ევაკუაცია.

ბერლინი. 8 აპრ. რადიო. ამერიკის პრესა კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ამერიკის საოკუპაციო ჯარს გაიყვანებენ რეინლანდიდან ამერიკაში არა უგვიანეს 1 ივნისისა.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია

აზერბეიჯანი.

ბაქო, 3 აპრილი (რადიო) **მდინარის ნაპირების გამაგრება** ჯებირებით. შესრულებულია შრომის მობილიზაციით მდინარის ნაპირების გასამაგრებლათ წინადადების 75 პროც 31:630 კუბ. საჟენი. საერთო შთაბეჭდილება შესრულებული სამუშაოსი მეტად კარგია. წინადადებების შეუსრულებლობის გამო მოშორებულ მაზრებიდან მუშების გამოგზავნის შესახებ მარალ ჩახანი, 3 და 2 რაიონებს შუა, რჩება ღიათ. მიღებულია დამკვრელი ზომები ამ ადგილის საშიში პუნქტების დასახურავად განსაკუთრებით მდინარე კარა-სუზე. მარალჩახანის მოწოლილი წყალი შეჩერებული იქნება ნაპირების გამაგრებით მდინარე კარასუზე და უკუქცეული მტკვარში. მუშაობა კარამახის მხარეზე აგრეთვე სწარმოებს წარმატებითად. ეს სამუშაო არ შედის საერთო გეგმაში და მას ექცევა ყურადღება გლეხების მოთხოვნის მიხედვით. არაქსის მარჯვენა ნაპირზე შესრულებულია წინადადების 35 პროც. —16500 კუბ. საჟენი, რაც აიხსნება ფულის უქონლობით და თავის დროზე სურსათ-სანოვაგის მოუწოდებლობით. 11 მარტს ეს სამუშაოები გადაეცა მუგანის სააღმშენებლო კომიტეტს. გამოირკვა რომ საჭიროა შრომის მობილიზაციის გამოცხადება მტკვრის მთელ მარჯვენა ნაპირზე ხელფასის გადახდით. 18 მარტს ეს მობილიზაცია გამოცხადდა კარადონალიდან სალიანამდე და შეკრებილ იქნა 4,000 კაცი. დახურეს მიურსალიანსკის და კარადჯალიარის გარღვეული ჯებირები; გარღვეული ადგილების ხე-ტყით გამაგრება გადაეცა მუგანის კომიტეტს. მუშაობას გლეხები და განსაკუთრებით პრიკურინილები, შეგნებულათ უყურებენ, მცხოვრებლები ხანდისხან ძალიან შეწუხებულია სიცივით, მაგრამ გმირულად იტანს ამ საზოგადო საქმის სიმძიმეს.

შიმშილი. სიმშილობა თანდათან ვითარდება, განსაკუთრებით მტკვრის რაიონში მთელ აგდაშის და ნაწილობრივად გოგჩის მაზრებში და ამიტომ საჭიროა საჩქარო ზომების მიღება დამშეულების სიკვდილისაგან დასახსნელად. აგდაშის მაზრის მტკვრის ახლო მდებარე ადგილებში მცხოვრებლები იკვებება ბალახი: „შირ"-ის ძირებით.

ნავთის [illegible] 26 მარტისათვის ამოღებულია [illegible] 567,000 ფ. იმავე [illegible] 251,000 ფ., მიღებულია გაწმენდიდან 247,000 ფ., გაწმენდილია 143,000 ფ. 26 მარტს სამუშაოდ გამოვიდა 203 ნავთის მუშა.

აზნავთის კანტორა. აზნავთი აწყობს რ. ს. ფ. ს. რ. ჩრდილოეთ ნაწილში თავის წარმომადგენლობას კანტორით პეტროგრადში.

თბილისის აზნავთის წარმომადგენლობის მოქმედება როგორც იტყობინება თბილისის აზნავთის წარმომადგენლობა მან შეისყიდა 1 ნახ. მილიარდი მანეთის გაზეთის ქაღალდი და 342 მილ. მან. კანიფოლი. დასრულდა მოლაპარაკება ფინლიანდიელ ფირმებთან 60 ტონი სხვა და სხვა ქაღალდის მოტანის შესახებ.

ტყავის განყოფილების წალის სახელოსნო. ტყავის განყოფილების წალის სახელოსნომ, რომელშიც მუშაობდა გადიდებული შტატი 119 კაცით, წაიღო სამი მილიარდი მან. განზრახულია სახელოსნოს ლიკვიდაცია.

საბავშვო ბაღები. სახალხო განათლების კომისარიატმა დაადგინა შეინახოს თავის ხარჯით მაზრებში 25 ბავშვების ბაღი 1600 ბავშვით. დანარჩენი ბაღები უნდა შეინახოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა, და საზოგადო ორგანიზაციებმა. ქალაქი ბაქოსა და მისი რაიონებისათვის ტოვებენ ბავშვთა ბაღებს 2,000 ბავშვისათვის.

სკოლების შემოკლება. სახალხო განათლების კომისარიატმა დაადგინა შეამციროს 1 და 2 საფეხურიან სკოლების რიცხვი 1 მესამ. პედაგოგიური და ტეხნიკური პერსონალი მცირდება 3778-დან 2719 კაცამდე. სახელმწიფო შეინახავს თავის ხარჯით პედაგოგიურ პერსონალს, თავზე იღებს კაპიტალურ შეკეთებას და ქალაქებში სკოლების შენებას და აგრეთვე მომარაგებას საჭირო სამოსწავლო იარაღებით და საჩვენებელი საგნებით მუშების, გლეხების და ულარიბეს მოქალაქეების ბავშვებს მიაწოდებს სამოსწავლო სახელმძღვანელოებს.

უმაღლეს სასწავლებლებში. დადგენილია მომავალ წელში მიიღონ უნივერსიტეტში არა უმეტესი 700 სტუდენტისა.

ამსტერდამის პროფკავშირების დახმარება

თფილისში ჩამოვიდა ამსტერდამის პროფკავშირების მიერ გამოგზავნილი დელეგაცია, შემდგარი **მოქ. იულიუს ბრაუნტალის** („ვენის მუშათა გაზეთის" რედაქტორი, ვენა) და **ვლადიმერ ჯანდარელისაგან** (ბერლინი). დელეგაციას ჩამოუტანია 180 ფუთი მედიკამენტი, გამოგზავნილი ამსტერდამის პროფკავშირების ინტერნაციონალისაგან საქართველოს მოსახლეობისათვის.

ქრონიკა

✦ **სამშაბათს, 11 აპრილს** საღამოს 6 საათზედ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის კაბინეტში დანიშნულია საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტის კრება.

✦ **როზა ლიუქსემბურგის მოედანი.** თბილისის ქალაქის აღმასკომმა დაამტკიცა დადგენილება კომუნალურ მეურნეობის კოლეგიისა, გადაერქვას შტაბის მოედანს როზა ლიუქსემბურგის მოედანი.

✦ **ფანტასტიური ხმა.** ქალაქში ვიღაცამ ხმა გაავრცელა ვითომ ქალაქის აბანოში (ორბელიანის) იპოვეს უთაო გვამი ქალის, ეს ხმა სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განცხადებით ეს უნდა მიეწეროს პირველი აპრილის სახუმარო პროვოკაციას.

ხელოვნება

— **სახლი ქართული „პოდპოლე".** ზაქარია ჭიჭინაძის საიუბილეო კომისიაში პოეტმა ტიციან ტაბიძემ შეიტანა წინადადება, რომ კომისიამ სთხოვოს სახალხო კომისართა საბჭოს, რათა, ის სახლები ზაქარია ჭიჭინაძის, რომელიც ერთ დროს იყო ქართული პოდპოლიეს ერთად ერთი ბინა, სადაც პირველად მისულან ყველა ქართველი რევოლიუციონერები და მწერლები თავის დასაფარავად და ცენზურის მიერ აკრძალულ წიგნების საკითხავად, გამოცხადდეს ეროვნულ სახლებათ და დაერქვას ქართული „პოდპოლიე"-ს სახლი. როგორც ირკვევა, ზაქარია ჭიჭინაძისათვის ეს სახლები ჩამოურთმევიათ სხვა და სხვა პირებს და ხვედრი ფული არც კი მიუციათ.

— **ხელოვნების სასახლე.** ხელოვნების სასახლეში, პარასკევს, 7 აპრილს, გაიმართა მორიგი ესთეტიური საღამო საქართველოს ახალ მწერლობის კავშირის, მოხსენება წაიკითხა ამხ. ქუთათელაძემ: „ეროვნული მომენტი „ცისფერ ყანწების" პოეტებში (გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე პაოლო იაშვილი). მოხსენება საყურადღებო გამოდგა, სიტყვები სთქვეს: ტიციან ტაბიძემ, მიხეილ აბრამიშვილმა და გრიგოლ რობაქიძემ.

— **გიორგი ლეონიძის რედაქციით,** სახელმწიფო გამომცემლობის სუბსიდიით, მაისში გამოვა: 1) **საბა სულხან ორბელიანის** თხზულებათა სრული ტომი. წიგნში „სიბრძნეთა სიცრუე"-ს გარდა, სხვათა შორის მოთავსებული იქნება საბას „ევროპაში მოგზაურობა" მე-18 საუკუნის დასაწყისს. 2) **ეპიფანე კვიპრელის**—„თვალთათვის". მზადდება დასაბეჭდათ: 3) **თეიმურაზ პირველი** (სრულად) და 4) **სოლომონ ლეონიძე** (სიტყვები და წერილები).

— **პატარა სახელმწიფო თეატრი.** შაბათს, 18 აპრილს, 1922 წ. საქართველოს ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი კომისია გამართავს დიდ საზეიმო „ნადიმსა და კაბარეს", ნადიმი დაიწყება ვახშამით სათეატრო დარბაზში. ევროპული და აზიური ცეკვა. მეორე დიდ დარბაზში (ფოიე) მოწყობილი იქნება სხვადასხვა გვარი საინტერესო გასართობები და აგრეთვე **ლოტო. კაბარეში** მონაწილეობენ: (ანბანზე) ანდრონიკაშვილი ელო, ბოკოვა, ბენდიცკი, ერმოლოვი, ინაშვილი, კაპელნიცკი, მორდკინი, სემიონოვა, სტაროსტინა, სარაჯიშვილი, შარაშიძე, წერეთელი თამარ, ჭიაურელი, ხენკინა და სხ. კონფერანსიე: ანდრონიკაშვილი იასე, იაშვილი პაოლო და ყანჩელი სანდრო. როიალთან ნ. ა. გრიქუროვისა. შესვლა ვახშამით ღირს ნახევარი მილიონი. მარტო—100,000 მან. ვახშამი და ცეკვა დილამდი. ნადიმი დაიწყება საღამოს 10 საათზე. დიასახლისები: ამირეჯიბი ნ. პ. და გეგეჭკორი ვ.

— **ქართველი დედა.** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ცაგარელის ისტორიული დრამა „ქართველი დედა". უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ნინო დავითაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, მ. ჭიაურელი და პლ. კორიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი და ხელოვნება

რუსთველის თეატრი

„მადამ სან-ჟენ“, კომ. 4 მოქ

გ. დავითაშვილის საღამო

კვირა, 9 აპრილი, უსათუოდ სასიამოვნო რიცხვი იყო ამ სეზონში მისთვის, ვინც დაესწრო გიორგი დავითაშვილის საღამოს „მადამ სან ჟენ“-ს. პიესის სიუჟეტი სარდუს აღებული აქვს ნაპოლეონ პირველის ცხოვრებიდან და საინტერესოა იმდენათ, რამდენათაც ამ კომედიაში მოსჩანს ნაპოლეონის თავისებური და სახეფიგურა. დავითაშვილმა, რომლის სცენაზე გამოსვლამ დარბაზის ერთხმოვანი ტაში გამოიწვია და სამართლიანად, როლთან თანაბრობით და [illegible] ინტუიციით მოგვცა ნაპოლეონის ტიტანიურობა: რაინდული ტანი ბეჭებში ოდნავ მოხრილი, თეთრსა და მაღალ ნაოჭებიან შუბლზე გადმოვარდნილი წინა თმის ერთი ნაწილი, არწივისებური ცხვირი, მოგრძო სახე, ტალკვესიანი თვალები, მაგარი ერთიანი წარბები, ცალი ხელის ცერი მუნდირის ღილებში, მარჯვენა ფეხის ათამაშება ნერვიულობის დროს და რაღაც მისტიური, მაგრამ პლასტიური სიარული. დავითაშვილის მდიდარი და მაგრძნობელი ხმა თანდაყოლილი ნათესაობით იმართებოდა როლის სახეობასთან. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ არ ყოფილა უბრალო დამაქვეითებელი პარალელი როლსა და დავითაშვილის შორის, რომელიც მანიშნებელი ყოფილიყო, რომ ის მსახიობია და არა ნამდვილი ნაპოლეონი. დავითაშვილს აქვს მდიდარი (არა ბუტაფორიული) ჟესტიკულიაცია და გამოშიგნული მიმიკა. მაგალითისათვის:

ეკრანზე (არსენ ჯორჯიაშვილი) ჩვენ გვიხატავს დავითაშვილი, თუმცა ამ პიესის არა ცენტრალურ ფიგურაში, მაგრამ მისი სახის ნისლიანი მეტყველება, როცა არსენას თოფებს უმიზნებენ და, თოფების ხმაზე შეკრთომა, თითქმის მთელ ლენტს პიესისას დემონურს, მაგრამ ამავე დროს კეთილშობილური ბეჭუთით ფატრავს.

ან. ქიქოძეს (მადამ სან-ჟენ) აკლდა ბუნებრივი მოლივლივობა და მისი ამპლუა „სან ჟენს“ თითქოს ეუცხოებოდა. ხშირათ საჭიროებდა სუფლიორის მიშველებასაც. ანეტას უფრო პოეტური ტკივილებით ატირებული ხმა აქვს და ასეთი როლი მის პარტიას არ ეხამება. ქონდა მეტად საინტერესო შტრიხებიც. მაგალითად: გულუბრყვილო და სარფიანი თქმა: „მე სხვა პრილობა არა მაქვს“ და სხვა.

შალვა დამბაშიძე (ლეფევრში) ამ საღამოს უსათუოდ თავის სიმაღლეზე იდგა. ქონდა გამახვილებული ნერვები და თავის გარშემო მომხდარ ამბების ამთვისებიანი ალღო. უფრო, კარგი იყო პირველ მოქმედებაში, „სან-ჟენ“-ის სამრეცხაოში, სადაც უბრალო ჯარის კაცია და „სან-ჟენ“-ზე ეჭვიანი, რომელიც მას უყვარს, და ამ ეჭვიანობით როცა ის ძალით შედის „სან ჟენის“ დაკეტილ ოთახში და იქიდან გამოდის გაფითრებული და დარბილებული თავისთავში ჰუმანიურობის გამოჩენით, სადაც შემთხვევით დამალულია მისგან დაჭრილი გრაფ ნეიპერი. მხოლოდ მისი სიცილი მოგვაგონებდა „სულელის“ გენერალს, რაც უსითუოდ უნდა იქნეს გამოსწორებული. არ შეიძლება ყველა როლში ერთნაირი დიქციით სიცილი.

მიხეილ ქიაურელი (ფუშე) უნდა ითქვას მოისუსტებდა. რაღაც უხასიათობა ეჩნეოდა და ხშირათ ბორძიკიც. ეს არ გაგვიკვირდებოდა, რომ ქიაურელს არ ქონდეს საამისო შესაძლებლობა. ქიაურელი საკმაოთ ავტორიტეტულია თავის ნიჭით და ჩვენ გვინდა ის ყოველთვის გამარჯვებული იყოს.

აკაკი ვასაძე (გრაფ ნეიპერი) კარგი იყო პირველ მოქმედებაში უფრო, როცა დაჭრილი შემოდის სამრეცხაოში და შველას თხოვს „სან-ჟენს“. ქონდა საუცხოო გრიმი და სახიერი გადმოცემა, მაგრამ თითქმის არ უვარგოდა მეორე მოქმედებაში მაინც, ხმის მკვეთილობა, ალბათ მეტი სულთქმიანი პათოსით.

რონელი (დედოფალი) საშუალო იყო მხოლოდ მესამე მოქმედებაში ნაპოლეონთან სკანდალის დროს, სადაც ჩანდა დედოფლის ხასიათი. საერთოდ ამ როლში რონელზე უნდა ითქვას ის, რაც ითქვა „გრაკუსების“ დედაზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მსახიობ ქალებით ჩვენი სცენის სიღარიბეს.

პლატონ კორიშელი (სავარი, მინისტრი პოლიციის) პირდაპირ სასაყვედუროა, ასეთ უსიცოცხლო და ნაძალადევ გამოსვლისათვის. არ ვიცი, რით აიხსნება მისი ამ საღამოს სტატისტური მდგომარეობა. ყოველ შემთხვევაში მას ქონდა შესაძლებლობა მეტი მოეცა, თუგინდ იმიტომ რომ ეს პიესა, ბოლოს და ბოლოს, არის კომედია და არ მოითხოვდა მისგან იაგოს თვისებებს.

ე. ციმაკურიძე (სავარის ცოლი) სცენაზე პირველათ გამოყვანილის შთაბეჭდილებას სტოვებდა, რომელსაც სამი სიტყვა არ შეეძლია თქვას უკორძოთ. უფრო არ ეპატიება დაუდევრობა, მაგალითად ერთ ვიწრო საფარძელში მოთავსება ორ ქალთან, რაც ბარონესების ზრდილობას არ შეეფერებოდა.

თამარ ჭავჭავაძე (ბარონესა) ცოტა გაუბედავი იყო, თუმცა საკმაოთ ქონდა კდემამოსილება და სინაზე ახალგაზრდა ბარონესასი.

მიშა ლორთქიფანიძე (ლორისტონ) მიუხედავათ იმისა, რომ ის მხოლოდ იმპერატორის უბრალო ადიუტანტის როლს ასრულებდა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ჩვეულებრივზე შედარებით, არ ქონდა ნაკლი, რადგან დაძლეული ქონდა თავისთავი და არ ჩანდა „პირვანდელის“ დიქცია და მანერა.

მ. სარჩიმელაძეს (დეპერო) არა უშავდა.

პიესა კარგი დადგმული იყო, განსაკუთრებით პირველი და მესამე მოქმედება, მაგრამ უნდა შევნიშნოთ ანდრონიკაშვილს, რომ არ არის საჭირო ისე ხმის შეცვლა, როგორითაც ლაპარაკობდა მეჩექმე. საერთოდ წარმოდგენა კარგათ ჩატარდა. დარბაზი სავსე იყო ხალხით და ნიჭიერი მსახიობი, დავითაშვილი, რამდენიმეჯერ გამოიწვიეს მხურვალე ტაშით.

რ. გ.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

შინაწარმოების არტელები. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შინაწარმოების მრეწველობის განყოფილება შეუდგა ადგილობრივ შინაწარმოების არტელების ორგანიზაციის საქმეს. დღევანდლამდი მოწყობილ არტელების რიცხვი უდრის 15, ამჟამად არტელები ეწყობა პერიფერიებში. პირველ რიგში განზრახულია მოწყობა არტელებისა კალათების დამწნელებისა, მატყლის ტანისამოსის მქსოველებისა, ჭურჭლის მკეთებლებისა და სხვ.

იჯარით გაცემულ წარმოებათა დათვალიერება.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალური საწარმოო განყოფილება შეუდგა იჯარით გაცემულ ყველა წარმოებათა დათვალიერებას. დათვალიერების მიზანია გამორკვევა იმისა, თუ მოიჯარადრენი რამდენათ კეთილსინდისიერათ ასრულებენ საიჯარო ხელშეკრულების პირობებს.

იჯარით გაცემის სახელმძღვანელო.

ამ უახლოეს ხანაში გამოვა ბროშიურა—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალ და ადგილობრივ განყოფილებათა სახელმძღვანელო, რომელშიც მოთავსებულ იქნება მეთოდები და პირობები წარმოებათა იჯარით გაცემის შესახებ. ბროშიურაში მოთავსებულია წინასიტყვაობა, ინსტრუქცია და სამაგალითო ხელშეკრულება.

სტატისტიკურ კურსების სწავლა დამთავრებულნი.

გ. წ. დეკემბრის 9 ს ცენტრალურ სტატისტიკის სამმართველომ გახსნა 3 თვიური სტატისტიკური კურსები, პასუხისმგებელ პრაქტიკულ მომუშავეთა მოსამზადებლად მაზრებში სამუშაოდ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ დებულების ძალით, კურსებზე შეეძლოთ შესვლა სამაზრო სტატბიუროებისაგან ან რევოლუციონურ კომიტეტების და ცენტრალურ საუწყებო დაწესებულებათაგან მიგლინებულ და აგრეთვე ამიერ კავკასიის სხვა რესპუბლიკათა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსაგან გამოგზავნილებს. კურსების პროგრამა ისე იყო შედგენილი, რომ იგი ეხებოდა სტატისტიკის ყოველ დარგს და მსმენელებს აძლევდა წარმოდგენას რესპუბლიკის სამეურნეო და ეკონომიურ ცხოვრებაზე (საქართველოს სასოფლო სამეურნეო მიმოხილვა და საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია). მეცადინეობის საათების უმეტესი რიცხვი (300 დან 180) მოხმარდა პრაქტიკულ მუშაობას.

დასაწყისში კურსების მსმენელთა რიცხვი უდრიდა 51 კაცს. განზრახული იყო მათი ჩარიცხვა სახელმწიფო სამსახურში დღიდან მათი შემოსვლისა კურსებზე, რათა კურსების დამთავრების შემდეგ ისინი ყოფილიყვნენ ცენტრალი სტატისტიკური სამმართველოს სრულ განკარგულებაში.

1922 წლის დამდეგს მოჰყვა შტატის შემცირება და გარდა ამისა ფინანსიურმა და სასურსათო საკითხების სიმწვავემ აიძულა ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველო გამოერიცხა სახელმწიფო მომარაგებიდან ცენტრალური დაწესებულებათა კანდიდატები და დაიტოვებინა მხოლოდ მაზრებიდან 17 კაცი.

ა|წ მარტის 22-ს სტატისტიკური კურსები დაიხურა და 51 კაციდან დაამთავრა კურსები (ჩააბარეს სათანადო გამოცდები და შეასრულეს პრაქტიკული მუშაობა) 37 კაცმა, მათ რიცხვში 5 მა მიგლინებულმა სომხეთის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსაგან.

მაზრებიდან ჩამოსულ 17 კაცმა კარგად დაამთავრა კურსები და სხვა მაზრებში.

ამ საქმით ჩაეყარა ურყევი საძირკველი სტატისტიკის ცოდნის გავრცელებას საქართველოში და კვალიფიკიურ სტატისტიკოსთა მომზადებას სტატისტიკაზე სამუშაოდ.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მოვლენა, რომ კურსები თავის არსებობის დროს განიცდიდა დიდ ფინანსიურ გაჭირვებას და ამან იქონია დიდი გავლენა მეცადინეობის წინსვლაზე. მაგალითად ამ ხანამდე არც ერთ ლექტორს არ მიუღია გასამრჯელო დაკმაყოფილებული არ არის კანცელარიის და სტამბის სხვა და სხვა ხარჯი და სხვა.

ამ დაბრკოლებათა მიუხედავათ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველომ მაინც შესძლო მიეცა სავსებით მომზადებული სტატისტიკოსები 32 კაცი საქართველოსთვის და ხუთიც სომხეთისათვის.

ეს მოვლენა მეტად ყურადსაღებია და საჭიროა არ დავიშუროთ არავითარი ძალღონე, რომ შემდეგშიაც მოამზადდეს ამსგავსი მომუშავენი.

კოოპერაცია

პურის სინდიკატი. ამ დღეებში, მუშათა მთლიანი კოოპერატივის ინიციატივით, შედგა ქალ. ტფილისის დიდი კოოპერატივების წარმომადგენლების თათბირი განსახილველად საკითხისა პურის საცხობ წარმოებით კოოპერატივების გაერთიანებისა, ერთგვარი პურის სინდიკატის შექმნის შესახებ. ამ გაერთიანების იდეა დამყარებულია შემდეგ მოსაზრებებზე: პურის ფასი, როგორც უპირველეს საჭიროების საგნის ფასი, წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს რეგულატორს მასსიურ მოხმარების დანარჩენ საგნების ფასებისას. თბილისში არ არსებობს დიდი პურის—წარმოებითი საქმეები. ყველაზე დიდი საქმე ამ დარგში უნდა იყოს, გვგონია, მუშათა ერთიანი კოოპერატივი, რომელიც გარდა იმისა, რომ ყოველდღე დიდძალ პურს უშვებს ბაზარზე, ამარაგებს პურით აგრეთვე სახელმწიფო და სამეურნეო ანგარიშზე გადასულ წარმოებათა მუშებს და მოსამსახურეებს საკუთარი პურისცხობა მოწყობილია დამოუკიდებლად სხვა კოოპერატივების „თბილისის,“ „სანოვაგე“ და სხვების მიერაც.

კოოპერატივების გაერთიანება პურის საკუთარ გამოცხობის და თავის დუქნებიდან მის გაყიდვის საქმეში ძლიერ აიაფებს პურს. გაერთიანებული, ერთათ თავმოყრილი წარმოება საზოგადოთ შესამჩნევად უფრო ეკონომიურია, ვიდრე დაქუცმაცებული, დაწვრიმალებული წარმოება. ყველა კოოპერატივები, გაერთიანებულნი პურის სინდიკატში, ერთად დაამზადებენ, ერთად იყიდიან მარცვალ-ფქვილს ბაზარზე, და ხელშეკრულებებს დასდებენ ხორბლის და ფქვილის დიდ ჩამბარებლებთან და საქმეს დაიჭერენ პირველ წყაროებთან. უკვე მარტო ამ გარემოებამ უნდა დიდი პური მისცეს კოოპერატივებს და პურის ფასები გაიაფოს. კონკურენცია კოოპერატივებს შორის აცილებულ იქნება და კოოპერატივების მთელი ყურადღება მიქცეული იქნება კერძო ბაზარზე.

კოოპერატივებს შეუძლიათ მოკლე დროში შეიქმნენ პურის ბაზრის მონოპოლისტები, ან და ყოველ შემთხვევაში შეუძლიათ ჩაიგდონ თავის ხელში ამ ბაზარზე ფასების ხელმძღვანელობა. ამ ჟამად, მუშკოპ, მაგალითად ყიდის პურს 10,000 მანეთად გირვანქას, როდესაც კერძო ფურნებში 13,000 მანეთზე ნაკლებ არ არის გირვანქა პური,

უნდა ნახოთ, როგორი ვეებერთელა რიგები დგას ყოველ დღე დილიდანვე მუშკოპის პურის დამრიგებელ პუნქტებთან.

ამას წინად შემდგარმა მუშკოპის რწმუნებულთა კრებამ მისცა თავის გამგეობას გარკვეული დირექტივები პურის საქმის განვითარებისათვის.

მან წინადადება მისცა გამგეობას მოახმაროს თავის საშუალებათა მაქსიმალური რაოდენობა და ყურადღება პურის გამოცხობის განვითარებას.

ამ დირექტივების გასახორციელებლად მუშკოპმა გადასდგა ნაბიჯები პურის კოოპერატიულ სინდიკატის შესაქმნელად. პირობები, რომლებიც წამოაყენა მუშკოპმა კრებაზე შემდეგია:

ყველა კოოპერატივებმა, რომლებიც შედიან სინდიკატში უნდა გადასცენ მუშკოპს თავიანთი ფურნეები და განსაზღვრული ჯამი საბრუნავ თანხისათვის. მუშკოპი აწყობს ფურნეებს და აძლევს პურს ყველა კოოპერატივებს იმ წესით, რომ კოოპერატივებში პური უნდა იყიდებოდეს ყველგან ერთ ფასში. ფქვილის და ხორბლისა შესყიდვის საკითხს ერთად იხილავენ.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის წინადადებას თათბირის მონაწილეები შეხვდნენ სრული თანაგრძნობით. არავითარი საწინააღმდეგო არავის არ უთქვამს. პურის სინდიკატის განხორციელება შესაძლებელი დარჩებოდა, მაგრამ.. ერთი მცირე მიზეზი, გამოირკვა რომ ხელს უშლიდა, კოოპერატივებს. არა აქვს ეხლა თავისუფალი ფულის რესურსები, რომლის გამოყენებაც მათ შეეძლოთ პურის სინდიკატის გადასაბრუნებელ თანხებში. კოოპერატივებს აქვთ ას მილიონობით რუსეთის ფულის ნიშნები, მაგრამ ამ ჟამად მისი ფასი დაცემულია.

თათბირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა გამოითხოვონ სახელმწიფო და კოოპერატიული ბანკებიდან კოოპერატივების ვექსილების განაღდება; თუ ეს იქნა მოგვარებული პურის სინდიკატი შეიძლებს დაუყონებლივ მუშაობის დაწყებას.

მუშათა მთლიან კოოპერატივის მიერ ამ საქმის დაწყებას, ე. ი. პურის სინდიკატის მოწყობას, თავისი სპეციალური მნიშვნელობის გარდა, აქვს საზოგადოდ კოოპერატიული ორგანიზაციული ხასიათი. მუშ. მთლიანი კოოპერატივი აბამს სამოქალაქო კოოპერატივს თავის სამეურნეო-სავაჭრო მოქმედებაში, აყენებს მას მასთან თანამშრომლობის პირობებში, და უქვემდებარებს სამოქალაქო კოოპერატივებს თავისი მეურნეობის და იდეიურ გავლენას. მუშათა კოოპერაცია არა სიტყვებით, არამედ პრაქტიკულად ხდება საერთო კოოპერატიულ მოძრაობის ცენტრად.

ზახაროვი.

საყოველთაო სამხედრო სწავლებისათვის

საქართველოს კ. პ. ც. კ. ცირკულიარული წერილი № 117.

ყველა კომუნისტურ ორგანიზაციების მიმართ

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ მუდამ ვებრძოდით იმპერიალისტურ ომს, მაგრამ არ უარყოფდით ომს საერთოდ. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით: „ომიც არის და ომიც“. ჩვენ რესპუბლიკის შეიარაღებულ თავდაცვის გარეშე ჩვენ არსებობა არ შეგვიძლიან. ჩვენ უნდა დავიმტკიცოთ მგზავსათ ჩვენი რუსეთის ამხანაგებისა, რომ საქართველოს პროლეტარიატს და გლეხობას უნარი შესწევთ არა მარტო ექსპლოატატორების დამხობისა, არამედ თავდაცვისათვის ორგანიზაციულად დარაზმვისაც.

წითელი არმია, რომლის შექმნაც შესძლეს საბჭოთა რესპუბლიკების მუშებმა და გლეხებმა თავგანწირულ რევოლუციონურ მუშაობის პროცესში, არ არის რასაკვირველია შეიარაღებულ ძალების პროლეტარულ ორგანიზაციის უკანასკნელი სიტყვა. წითელი არმია ეს ის მძლავრი პროლეტარული ავანგარდია, რომელიც იყო შექმნილი განუწყვეტელ სამოქალაქო ომების ცეცხლში, რომელმაც, გაანადგურა რა ჩვენზე წამოსული მტერი, მოგვანიჭა ის მცირეოდენი მოსვენება, რომელიც შეძლებას გვაძლევს ჩვენ გადავსწყვიტოთ ჩვენი საარსებო სამეურნეო პრობლემები. ეხლანდელ გარდამავალ ხანაში, როდესაც სამეურნეო საკითხებს უჭირავთ პირველი ადგილი, ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ზომები, რათა ჩვენი სამხედრო საქმის დაყენების საკითხებს ეკავოთ შესაფერი ადგილი და მდგომარეობა. უნდა მოვეპყრათ რა ყოველგვარ მზრუნველობით წითელ არმიას, რომელიც მზად არის მიიღოს თავის თავზე პირველი შესაძლებელი იერიშები მუშურ-გლეხურ ქვეყანაზე, ჩვენ დაუღალავათ უნდა ვიშრომოთ შეიარაღებულ ძალების შექმნისათვის ჩვენი ქვეყნის გადაუდებელ სამეურნეო და კულტურულ მოთხოვნილებათა შეფარდებით. ჩვენ საჭირო თანდათანობით უნდა ვიმუშაოთ არმიის წარმოების პროცესთან დაახლოებისათვის, ისე, რომ განსაზღვრულ სამეურნეო რაიონების ადამიანის ცოცხალი ძალა, იყოს ამავე დროს განსაზღვრულ სამხედრო ნაწილების ადამიანის ცოცხალ ძალათ. ეს კი შეიძლება შეიარაღებულ ძალთა იმ ორგანიზაციის დროს, როდესაც შრომელები, წარმოებით შრომიდინ რაც შეიძლება ნაკლებ მოცდენით, ღებულობენ საჭირო სამხედრო მომზადებას. შეიარაღებულ ძალების ამგვარ ორგანიზაციისაკენ ჩვენ უნდა მივდიოდეთ ისე, რომ საქმეში შევქონდეს მთელი ჩვენი რევოლუციონური აღფრთოვანება. შეიარაღებულ ძალების ამ ახალ ორგანიზაციის პირველი ეტაპი არის მშრომელთა საყოველთაო სამხედრო სწავლება. ყველა პარტორგანიზაციებმა ადგილზე თავის ამოცანათ უნდა დაისახონ საყოველთაო სამხედრო სწავლების ორგანოებისადმი სისტემატიური დახმარება და ხელის-შეწყობა. საყოველთაო სამხედრო სწავლების მთავარ ამოცანათ ამ ჟამად ითვლება ორგანიზაცია და გატარება ახალგაზრდობის მომზადებისა, მისი ჯარში გაწვევამდე, რომელ დარგშიაც საყოველთაო სამხედრო სწავლების ორგანიზაცია ხელჩაკიდებული მუშაობს სახალხო განათლების განყოფილებებთან, პროფკავშირებთან, პარტიულ ორგანიზაციებთან, ახალგაზრდობის კავშირთან, სასპორტო დაწესებულებებთან ჯარში და სხვა. ჯარში გაწვევამდე წინასწარ მომზადება, რომელიც შესდგება რაციონალურ ფიზიკურ სწავლებისა და აღზრდისაგან და ელემენტალურ სამხედრო მომზადებისაგან, უნდა მოგვცეს გასაწვევ ხნოვანებაში (20 წელი) მოქალაქე, ღირსი, ატაროს დიდი სახელი საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დამცველისა.

სოციალისტური აღმშენებლობის მომავალი იქნება ისეთი, როგორიც იქნებიან მისი მშენებელი მასსები. ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირმა ხელში უნდა აიღოს პოლიტგანმანათლებელი მუშაობა არა გასაწვევ ახალგაზრდათა შორის და მით შეიქმნას საყოველთაო სამხედრო სწავლის მუშაობის სული.

საქართველოს კ. პ. ც. კ. მოუწოდებს რა ადგილებზე პარტორგანოებს და ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირებს ცოცხალ რევოლუციონურ შემოქმედებით მუშაობისაკენ საყოველთაო სამხედრო სწავლის ორგანოებში, იმედოვნებს დააყენოს სამხედრო სწავლების საქმე სათანადო სიმაღლეზე და მით უზრუნველყოს მოზარდ თაობის მომზადება მუშა კლასისადმი ერთგულობის განმტკიცების მხრით.

ძმურათ და შეთანხმებულათ გატარებული მომზადება მოგვცემს ჩვენ შეგნებულ და მედგარ მებრძოლთ პროლეტარიატის დიქტატურისა და კომუნიზმისათვის.

ც. კ. მდივანი მამულია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის სავალდებულო დადგენილება № 5

5 აპრილი 1922 წელი.

საბჭოთა მუშა-მოსამსახურეების და სამხედრო მოსამსახურეების წყლისა და ელექტრონის ენერგიის ფასის გადახდის შესახებ

მუშების და მოსამსახურეების მიერ კომუნალური სამსახურისათვის გადასახადი ფასების საკითხის მოსაწესრიგებლად თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა:

1) წყალის ფასი უნდა გადახდეს 1 იანვრიდან საერთო ტარიფით ვედრო-300 მან. -ყველა მუშებს და მოსამსახურეებს როგორც კერძო ისე სახელმწიფო და საზოგადო წარმოებებისას ყოველგვარ შეღავათების გარეშე.

2) წყალის ფასი უნდა გადახდილ იქნეს სახლების მეპატრონეებისა ან კომენდანტების მიერ მთელი სახლისათვის საერთო ანგარიშის მიხედვით რომელსაც წარმოადგენს კომუნალურ მეურნეობის წყალსადენის განყოფილება.

3) წყლის ფასი ნაწილდება სახლების მეპატრონეების მიერ თითოეულ სულზე.

შენიშვნა: ბინების მცხოვრებლები რომლებიც სარგებლობენ აბანოთი, იხდიან თითოეული სულის მიხედვით ორმაგ ფასს.

4) თუ სახლში იმყოფებიან დაწესებულებები, რომლებიც სპეციალურათ ხარჯავენ ბევრ წყალს, ეს უკანასკნელი უნდა დაახლოვებით პრაქტიკულათ განისაზღვროს და დანარჩენი რიცხვი დახარჯული წყალისა განაწილდება მცხოვრებლებს შორის.

შერეულ სახლებში სადაც მცხოვრებლებს გარდა მოთავსებულია სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებები, ეს უკანასკნელები უთუოდ მონაწილეობენ დახარჯულ წყალის ფასის გადახდაში — პროპორციონალურად კომუნალურ მეურნეობის ანგარიშის მიხედვით.

6) ყველა მუშა-მოსამსახურე და სამხედრო მოსამსახურეები უხდიან წყლის ფასს თითოეული სულის მიხედვით სახლების მეპატრონეებს ყოველ თვიურად კომუნალური მეურნეობის ანგარიშით.

შენიშვნა: ყველა მუშა-მოსამსახურეს კომუნალურ სამსახურისათვის მოემატებათ აპრილში დამატებითი ხელფასზე, რომლის ნორმაც გამოქვეყნდება ცალკე.

7) ყველა მუშა მოსამსახურე და სამხედრო მოსამსახურე იხდის ელექტრონის ენერგიის ანგარიშის (10 პროც.) 1 აპრილამდი.

აპრილიდან ელექტრონის ენერგიის ფასის გადახდა იწარმოებს ამ მუშაკების მიერ ყოველგვარ შეღავათის გარეშე.

ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და კომუნალურ მეურნეობის განყოფილების გამგე ი. წიწვაძე

ბრძოლა სიმშილობასთან

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარკომიტეტის

ინსტრუქცია

ვაჭარ-მრეწველთა მიხაზიდათ დამშეულთათვის შეწირულების შეგროვების შესახებ

1. დამშეულთა დამხმარე საოლქო საქალაქო და სამაზრო კომიტეტებში შეწირულებათა შეგროვების საქმეში მონაწილეობის მისაღებად იწვევენ შეძლებულ კლასებს, კერძოთ ვაჭარ-მრეწველთ

2. ყოველ დაბასა და ქალაქში კომიტეტები იწვევენ კომერსანტების და მრეწველთა კრებებს, რომელზედაც მოხსენებებს უკითხავენ იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია და სასარგებლო თვით ვაჭარ-მრეწველთათვის დახმარების საქმეში

3. ვაჭარ-მრეწველთა კრებები თავიანთ წრიდან საორგანიზაციო კომისიებს ირჩევენ შეწირულებათა მოსაგროვებლად. ეს კომისიები მოქმედებენ დამშეულთა დამხმარე სამაზრო კომიტეტების სრულ ხელმძღვანელობის ქვეშ. თუ ქალაქი დიდია, მაშინ რაიონებად უნდა დაიყოს და ყველგან არჩეულ უნდა იქმნეს საორგანიზაციო კომისია.

4. ვაჭარ მრეწველთა კრებები თავიანთს წრეებში ახდენენ თვით დაბეგვრას, ან ამ საქმეს ავალებენ კრებებზე არჩეულ საორგანიზაციო კომისიებს.

5 საორგანიზაციო კომისიები თვით არკვევენ ვაჭარ მრეწველთა შორის შეწირულებათა შეგროვების ვადას და წესს; შეწირულების შეგროვებას აწარმოებენ თავისივე წევრების, ან სხვა რწმუნებულთა საშვალებით.

6. შეწირულებათა ანგარიშების ჩაბარების ვადას და წესს საორგანიზაციო კომისიები არკვევენ სამაზრო კომიტეტებთან შეთანხმებით.

7. იმ შემთხვევაში, თუ ლოტარეია საღამო, ან ბაზარი გაიმართა საორგანიზაციო კომისიები ვაჭარ-მრეწველთა შორის ნივთებს აგროვებენ.

8. ყველგან და ყველა შემთხვევაში სავალდებულოა სახელმძღვანელოთ მთავარ კომიტეტის ინსტრუქცია ამა წლის აპრილს 2 ს თარიღით.

კერძოდ ამ ინსტრუქციის მე 6 და მე 7 მუხლები, რომლის ძალითაც მთელი შეგროვებული შეწირულება ერთის კვირის განმავლობაში უნდა გაიგზავნოს: ფული და ძვირფასი ნივთები—დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტებში, ხოლო პროდუქტები, სათესლე მასალა და სხვა სახალხო სასურსათო კომისარიატის ადგილობრივ საწყობში.

სარედაქციო კოლეგია

ელექტრონთა სადგურების აბონენტების

საყურადღებოთ

კომუნალურ მეურნეობის ელექტრო-სადგურთა განყოფილება ამით აცხადებს, რომ ამა წლის 1 აპრილიდან ყოფ. „ედ მოვის“ ელექტრონის სადგური იღებს ელექტრონის საანგარიშოს (СЧЕТЧИК) გასწორებას და შეკეთებას. იქვე მიიღება გატენა და შესწორება აკუმოლიატორებისა.

მისამართი: პლეხანოვის პრ. № 111. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

(3—2)

ოთხშაბათს, 12 აპრილს დილის 10-დან

ქალ. თბ. აღმასკომის შენობის ეზოში (ყოფილ ქალაქის თვითმართველობისა) გაგრძელდება

საჯარო ვაჭრობა ნოქეულობაზე

(2—2

განცხადება

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებათა ცნობად, რომ მათ უსათუოდ უნდა გაასწორონ ამ მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან ანგარიშები აღნიშნულ კომიტეტის კომუნალურ სამსახურისა წყალზე და ელექტრონზე. ყველა ის დაწესებულებები, რომლებიც ათი დღის განმავლობაში, დღიდან ამის გამოცხადებისა, არ მიიღებენ შესაფერ ზომებს აღნიშნულ ანგარიშის გასწორებისთვის წყლის და ელექტრონის მიწოდება მათთვის უსათუოდ შეწყვეტილ იქმნება.

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

წიწვაძე.

(3—1)

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთ „პრავდა გრუზიის“, „კომუნისტის“, „კარმირ ასტღ“-ის და „ახალი აზრის“ ხელის მომწერთა (სახელმწიფო დაწესებულების, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების და კერძო პირთა) საყურადღებოდ, რომ შემდეგში გაზეთებს მიიღებენ ისინი მხოლოდ ხელის მოწერის ფასის გადახდის შემდეგ. იმ დაწესებულებებს და პირთ, რომელთაც გასული თვეებისთვის გადასახადი არ შემოუტანიათ

გაზეთების მიწოდება უსათუოდ შეუწყდებათ.

ხელის მოწერა და ფულის მიღება გასული თვეებისთვის სწარმოებს წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5).

სახელმწიფო გამომცემლობისაგან

განცხადება

ცხადდება ყველა პარტიულ გაზეთების „კომუნისტის“, „პრავდა გრუზიის“ და „კარმირ ასტღ“-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება ახალი ფასით.

პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის ხელის მოწერა ადგილზე ქალაქში სახლში მიუტანელად თვეში ღირება 120.000 მან. შინ მიტანით 140.000 მ. პროვინციაში 150.000 მან.

ყველა სხვა დაწესებულებისა და კერძო პირთათვის ხელის მოწერა ადგილზე შინ მიუტანელად ქალაქში ღირება თვიურად 180,000 მან. შინ მიტანით 200,000 მ., პროვინციაში 240.000 მან.

ცალკე ნომერი ქალაქში ღირება 10,000 მ. პროვინციაში კი 12,000 მ.

ხელის მოწერა დროებით მიიღება სახელმწიფო გამომცემლობაში ლორის-მელიქოვის ქ. № 5 ამხ. ზუმბაძესთან.

ხელის მომწერთა

საყურადღებოდ

გაზეთ „კომუნისტის, „პრავდა გრუზიის“ და „კარმირ ასტღის“ ყველა აგენტებს და ხელის მომწერლებს ვაცნობებთ, რომ დღეიდან ზევით აღნიშნული გაზეთების

ექსპედიცია და კანტორა გადავიდა

რუსთაველის პრ. № 24

ყველა პროვინციის აგენტმა და ხელის მომწერლებმა, როგორც პროვინციის ისე ქალაქისა, უნდა მიმართონ ზევით დასახელებულ მისამართზე—ყოველივე ანგარიშების გასასწორებლათ და ახალი გაზეთების დასაკვეთათ.

დღეის რიცხვიდან ექსპედიცია დარჩენილი გაზეთების მხოლოთ 20 პროცენტს იბრუნებს, როგორც პროვინციის აგენტებიდან ისე ქალაქის გამყიდველებიდან.

პროვინციის აგენტებს გაზეთზე ეთმობა 30 პროცენტი. პროვინციის აგენტები მოვალეა ანგარიშები გაასწორონ ყოველ 15 დღე. ვინც ამ უკანასკნელს არ შეასრულებს გაზეთების გზავნა შეუწყდება და მისი სახელი და გვარი გაზეთში გამოცხადდება.

გაზ. ექსპედიცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი № 8

მუშა და გლეხ ქალთა აქტიურ მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის აღორძინება და განვითარება.

თესვის კამპანია და გლეხი დედაკაცი

ბევრს საკითხის ასე დაყენება შეიძლება კიდევაც ეუცხოს: სად თესვა და სად დედაკაციო,—შეიძლება იკითხოს. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ძირიან-ფესვიანათ შესცვალა ყველა უწინდელი ტრადიციები და ზნე ჩვეულებები, შეიძლება ითქვას, რომ მან ყოველივე ეს პირდაპირ ყირამალა დააყენა.

უწინარეს ყოვლისა, თვით თესვის კამპანია ძველმა, მემამულეების და კაპიტალისტების სახელმწიფომ სრულებით არ იცოდა. გლეხკაცობა მყვლეფელების და მძარცველების მათრახის ქვეშ ხნავდა და თესავდა მიწას უზომოთ, თავისთვის ანგარიშის მიუცემლათ და მისი ნაოფლარის ნაყოფის უდიდეს ნაწილს ისაკუთრებდენ მუქთა-ხორა მემამულეები და კაპიტალისტები, და იმავე დროს თვით მარჩენალი გლეხკაცობა კი ნახევრათ მშიერ მწყურვალი რჩებოდა,—ეს უკეთეს შემთხვევაში, უმეტეს ნაწილათ კი იგი სულ ცარიელზე რჩებოდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო გლეხკაცობის ასეთ ცარცვა-ყვლეფას, საბჭოთა ხელისუფლებამ გახადა გლეხი სრული ბატონ-პატრონი იმ მიწისა, რომლის დამუშავება მას შეუძლია თავისი საკუთარი ძალღონით, თავისი ოჯახის წევრების დახმარებით. მაგრამ, თავის თავად იგულისხმება, რომ მარტო ეს არ კმარა; და მართლაც საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობა გლეხის მეურნეობისთვის ამით როდი ისაზღვრება. ჩვენ არაფერს ვამბობთ აქ იმაზე, თუ რა ღონისძიებას ხმარობს საბჭოთა ხელისუფლება საერთო სასოფლო-მეურნეობის დარგში მის გასაუმჯობესებლათ, მისი ნაყოფიერების ასაწევათ და სხვ. და სხვ. ჩვენ აქ მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას მხოლოდ ერთ გარემოებას, საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობის ერთ მხარეს, ე. ი. **ყანების დათესვის** საკითხს. რა თქმა უნდა, არავისთვის საიდუმლოება არ არის ის გარემოება, რომ აქ დაინტერესებულია ორივე მხარე, როგორც საბჭოთა მთავრობა, ისე თვით გლეხობაც. რამდენათ მეტი ყანა დაითესება, იმდენათ მეტ მოგებაში იქნება როგორც გლეხკაცობა, ისე საბჭოთა სახელმწიფოც. სწორედ ამ აზრით ყანების დათესვა საბჭოთა რესპუბლიკებში დღეს გამოცხადებულია არა თუ მარტო სახელმწიფო, არამედ პირველხარისხოვან და უსაჭიროეს საქმეთ. და რაკი ეს ასეა, საბჭოთა ხელისუფლებამ ამ საქმის სასურველათ დასაგვირგვინებლათ უნდა აამოძრაოს მთელი თავისი ძალები, ფეხზე უნდა დააყენოს ყველა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

როცა ხვნა-თესვაზეა ლაპარაკი მუშა-დედაკაცს, გლეხის ქალს, უმეტეს ნაწილათ მხედველობაში არ ღებულობენ, ყურადღებას აქცევენ განსაკუთრებით მუშა-მამაკაცებს, გლეხებს და ყოველივე იმედს იმათზე ამყარებენ, მაგრამ სინამდვილე უკვე აღარ შეესაბამება ასეთ შეხედულებას. თუ მუშა-ქალის როლი ქალაქის მრეწველობაში და აღებ-მიცემობაში დღეს უკვე საკმარისათ დიდია და ის თანდათან იზრდება, გლეხი-დედაკაცი სასოფლო მეურნეობაში ყოველთვის უფრო მეტ როლს თამაშობდა, მაგრამ გაცილებით დიდია მისი როლი დღეს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ 7—8 წლის განუწყვეტელი ომის წყალობით რამდენიმე ათეული მილლიონით შემცირდა ჯანსაღი მუშა-მამაკაცების რიცხვი, და მეორეთ იმიტომ, რომ იმავე ომის წყალობით განადგურდა და გაიცლანძა აუარება სიმდიდრე და დაეცა წარმოება, რამაც გამოიწვია უსახსრობა, უსაქონლობა და ხალხის უზომო გაღატაკება.

ყველა ამის გამო მუშა-დედაკაცის როლი ყოველგან როგორც მრეწველობაში, ისე სასოფლო მეურნეობაში, საგრძნობლათ გაიზარდა. ერთი სიტყვით, გლეხიდედაკაცი დღეს ჩაბმულია სასოფლო სამეურნეო მუშაობაში ბევრათ უფრო, ვინემ ეს სხვა დროს ყოფილა. სოფლის ქალმა ისევე, როგორც ქალაქის მუშა დედაკაცმა სავსებით უნდა შეიგნოს თავისი მოვალეობა, რომელიც მას დღეს თავზე აწევს. საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა დედა-კაცს სრული თავისუფლება, მან გამოიყვანა იგი თავდავიწყებისა, დამცირებისა და სიბეჩავისაგან და გახადა იგი სწორუფლებიან წევრათ საზოგადოებისა. არც ერთ მთავრობას, არც ერთი ხელისუფლებას არ ძალუძდა ამის მიხწევა და განხორციელება. ამიტომ დედაკაცი დ მუშა-დედაკაცი განსაკუთრებით უნდა გადაიქცეს საბჭოთა ხელისუფლების ერთ უმთავრეს ბურჯათ. ეს ნიშნავს იმას რომ მუშა-დედაკაცმა თავის უმთავრეს საქმეთ უნდა გაიხადოს დღეს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და გამაგრება ხალხის რწმენაში და წარმოდგენაში. მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ რომ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებას გაუმაგრებთ ზურგს, შევუქმნით მას ფართო და მტკიცე ეკონომიურ საფუძველს, ე. ი. ავსწევთ ხალხის საწარმოვო ძალებს, გავანაყოფიერებთ შრომას, გავამრავლებთ ქალაქის მრეწველობის, და სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა რაოდენობას. ამით ჩვენ ბოლოს მოვუღებთ ხალხის სიღატაკეს, შიმშილს, სიტიტვლეს და სიცივეს. ყოველსავე ამას ბოლო უნდა მოუღოს საბჭოთა ხელისუფლებამ და მოუღებს ბოლოს მხოლოდ თვით მშრომელი მასსის ენერგიული მონაწილეობით. საბჭოთა რესპუბლიკებში დღეს მუშები და გლეხები იბრძვიან სამეურნეო ფრონტზე. ამ ფრონტის ერთ ფრიად საყურადღებო პოზიციას წარმოადგენს **თესვის კამპანია. არც ერთი ტკაველი მიწა მოუხნავი, დაუბარავი და დაუთესავი არ უნდა დარჩეს!**

აი ერთი იმ მთავარ ამოცანათაგანი, რომლებიც დღეს ჩვენ წინ გვიდგანან. გვეტყვიან, საიდან და როგორ უნდა მოვხნათ და დავთესოთ, როცა საქონელი არ გვყავს, როცა სათესლე ხორბალი და სიმინდი არ გაგვაჩნიათ, როცა მშივრები და ტიტვლები ვართ. სწორედ ამიტომაცაა აუცილებელი ყანების დათესვა. ლუკმა უნდა მოვიკლოთ, და დაუთესავი არ უნდა დავტოვოთ ყანები. საბჭოთა მთავრობა ხმარობს ყოველივე ღონისძიებას, რაც მას შეუძლია. გლეხკაცობამაც უნდა იხმაროს ყოველივე ღონე, რაც მას შეუძლია. თუ ერთ ოჯახს არა ყავს მუშა-საქონელი, ხარი, კამეჩი ან ცხენი, თუ ერთს ოჯახს არ მოეპოება სათესლე მასალა, სამაგიეროთ მეორე ოჯახს ყველაფერი ეს აქვს იმაზე მეტი, რაც მას ესაჭიროება, რასაც ის თავისი ძალ-ღონით მოერევა. ამიტომ საჭიროა პროპაგანდა და აგიტაცია, რომ გლეხებმა ერთი ერთმანეთს დაეხმარონ, ხელი გაუწოდონ ამ საქმეში ფრიად დიდი როლის შესრულება შეუძლიანთ სწორედ მუშა დედაკაცებს, გლეხ-ქალებს. იმათ შეუძლიათ თვისი საკუთარი კრებების და კონფერენციების მოწვევა და შესაფერი რეზოლიუციების გამოტანა ეს დიდ გავლენას მოახდენს ყველაზე, განსაკუთრებით ისეთ გლეხებზე, რომელთაც ზედმეტი სათესლე მასალა მოეპოებათ და გამოაღებინებთ მათ ამ მასალას ღარიბ გლეხებზე სესხათ გადასაცემათ. ამით დიდი საქმე გაკეთდება. აი აქ უნდა გამოიჩინოს დღეს გლეხ-დედაკაცმა თავისი საქმიანობა, თავისი შეგნება. საბჭოთა ხელისუფლებამ დაუბრუნა მას ადამიანური უფლებები, რომლებიც მას წართმეული ქონდა მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობით. გლეხ-დედაკაცებმაც უნდა გაანძრიონ ხელი, უნდა ამოძრავდენ, გამოფხიზლდენ და საერთო აღმშენებლობას ფერხულში ჩაებან.

ფ. მახარაძე.

მუშა და გლეხ ქალებო გაერთიანებული ძალით იბრძოლეთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღსადგენათ.

ცირკულიარულად

სასწრაფოდ

ადგილობრივი ორგანიზაციების ს. კ. პ. სენაკის ქალთა განყოფილებებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კ. პ. ც. კ. მიერ დადგენილია აპრილის თვე გამოცხადდეს თესვის თვეთ. გატარებულ იქნას ფართო კამპანია სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად და მოკრებილი იქმნას მთელი ძალ-ღონე მოახლოვებულ სიმშილის მრისხანე აჩრდილთან საბრძოლველად.

აძლევს რა დიდ მნიშვნელობას სასოფლო მეურნეობის ასამაღლებლად წარმოებულ მუშაობაში გლეხ ქალთა ფართო მასების ჩაბმის და მუშა და გლეხ ქალთა აქტივობის გაძლიერების საქმეს ეხლანდელ საყოველთაო მოუსავლობის და სიმშილის დროს, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ რაიონებს ედება, საქართველოს კ. პ. ც. კ. მოვალეობათ აკისრებს ქალთა განყოფილებებს მოიკრიფონ მთელი ძალ-ღონე, თესვის კამპანიაში თავის მუშაობის გაფართოებისათვის ქალთა განყოფილებების კავშირი ქალთა ფართო მასებთან, გამოყენებულ უნდა იქმნას 1922 წ. სასოფლო სამეურნეო კამპანიაში ქალთა მასსების ფართოთ ჩაბმისათვის.

საქმის წარმატებისათვის წინადადება გეძლევათ:

1) ყველა ქალთა განყოფილებები დაუყონებლივ შეუკავშირდენ ადგილობრივ თესვის კომისიებს და საადგილ-მამულო ორგანოებს თესვის კამპანიის მომზადების ქალთა შორის გატარებისათვის.

2) წარმოებულ იქმნას გლეხ ქალთა შორის ფართო აგიტაცია, მიზიდულ იქმნას საერთო სოფლის ყრილობებში მონაწილეობის მისაღებად.

3) თუ ადგილობრივ არსებობენ კომისიები გლეხების წარმომადგენლებით, შეყვანილ იქმნას მათში გლეხის ქალიც, ყველაზე უფრო შეგნებული და საქმიანი.

4) გლეხ-ქალთა საერთო და სადელეგატო კრებების დღის წესრიგში დააყენეთ მოხსენებები თესვის კამპანიის, მის მსვლელობის, ამა თუ იმ რაიონის გლეხ-ქალთა მიერ გამოჩენილ თვით მოქმედების და მონაწილეობის შესახებ.

მოხსენებებისათვის სასოფლო-მეურნეობის საკითხებზე მოწვეულ იქმნას სპეციალისტები ადგილობრივ საადგილ მამულო განყოფილებებიდან ზედმიწევნით საქმიან გაშუქებისათვის თესვის კამპანიის ფორმების, აზრის და მიზნის და იმ მონაწილეობისა, რომელიც მასში უნდა მიიღონ გლეხის ქალებმა.

მეორეს მხრით სასურველია მომხსენებელი კომპარტიიდან ჩვენი რესპუბლიკის იმ პოლიტიკურ-სამეურნეო ამოცანათა გასაშუქებლათ, რომელნიც დაკავშირებული არიან თესვის კამპანიის წარმატებასთან და, კერძოთ, ამ წარმატების გავლენა ქალის მდგომარეობაზე.

5) გაანვითარეთ იდეა ქალთა მონაწილეობისა თესვის მუშაობაში. (აღმოსავლეთ საქართველოში ქალები მამაკაცებთან თანაბრად მუშაობენ ყანებში, დასავლეთ საქართველოში კი ამას იმდენათ ვერ ვაჩნევთ).

6) განსაკუთრებული ყურადღება ქალთა განყოფილებებმა უნდა მიაქციონ ულარიბეს გლეხობის ოჯახების დახმარების ორგანიზაციას, რომელთაც არა ყავთ მუშა-მამაკაცი.

7) მიიღონ ქალთა განყოფილებებმა ორგანიზატორების, დელეგატ-ქალების საშუალებით, მონაწილეობა თვითეულ მაზრის რაიონში, სოფელში იმ მიწების რაოდენობის გამორკვევაში, რომელთაც დახსნა საკუთარი ძალით არ შეუძლია, ცოცხალ და მკვდარ ინვენტარის უქონლობის მიზეზით, და მათი დათესვა თესლეულობის უქონლობის გამო.

8) ყველა ეს მოთხოვნილებები წარედგინოს კომიტეტებს მათ დასაკმაყოფილებლად.

9) კონტროლი გაეწიოს ადგილებზე—ყველგან სხვა მოსახლეებთან თანაბრად კმაყოფილდება თუ არა სათესი მასალით ქვრივები, ობლები და წითელ არმიელთა ოჯახები.

10) გაანვითარეთ იდეა შეძლებულ გლეხების მხრივ უფრო მცირე ქონების პატრონ გლეხ ოჯახებისადმი ურთი-ერთი დახმარებისა სამაწადმოქმედო ინვენტარის და სათეს მასალის სახით.

11) დაეხმარეთ თესვის კომიტეტების აგენტებს მათზე დაკისრებულ მინდობილებათა აღსრულებაში, მაგ. დაეხმარეთ სათეს მასალის მიღება განაწილებაში და სხვ.

12) საქართველოს კ. პ. ც. კ. დადგენილებით 20 პროც. აპრილში შეკრებილ სასურსათო გადასახადისა რჩება ადგილებზე თესვის საჭიროებისათვის. ქალთა განყოფილებებმა საჭიროა მიიღონ ენერგიული მონაწილეობა სასურსათო გადასახადის აკრეფაში და ამ 20 პროც. განაწილებაში.

13) თესვის კომპანიის აღნიშნულ საკითხებში ქალთა განყოფილებების მთელი მონაწილეობა ცხოვრებაში უნდა ტარდებოდეს ადგილობრივ თესვის კომისიების ცნობით და მათთან სრული კონტაქტით.

14) სასოფლო სამეურნეო კომპანიის განსაკუთრებულ მნიშვნელობის გამო ქალთა განყოფილებებმა თავის მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადიტანონ სოფელში.

15) ანგარიშები ამ მიმართულებით მუშაობის მსვლელობის შესახებ გამოგზავნეთ საქართველოს კ. პ. ც. კ. ქალთა განყოფილებაში.

16) გაანვითარეთ იდეა ქალთა მონაწილეობისა საყანე მუშაობაში, აღნიშნეთ მავნებლობა სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში პირდაპირი მონაწილეობის მიუღებლობისა."

ც. კ. მდივანი **მამულია.**

ქალთა განყოფილების გამგე **გახვიანი.**

სპარსელი ქალის მდგომარეობა

ისლამის ქვეყანათა შორის სპარსეთს თავისუფლად შეუძლია დაიკავოს პირველი ადგილი ქალების ექსპლოატაციის და დაჩაგვრის მხრივ. თანახმად ველაამინ წინასწარმეტყველის ბრძანებისა, ყოველ მართლმორწმუნეს შეუძლია იყოლიოს ოთხამდე კანონიერი ცოლი და რამდენიც უნდა მხევლები. მდიდარი მემამულეები, პრინცები და ფადი-შახები, როგორც ჭეშმარიტი მიმდევარნი ისლამისა, ფართოთ სარგებლობდნენ ამ თავის უფლებით, და არა ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც ცოლთა რიცხვი რომელიმე პრინცისა ან შაჰისა აღწევდა 100, 200 და 300.

ეკონომიურმა კრიზისმა ომის დროს და მის შემდეგ შეუძლებლად გახადეს საბოლოვოდ, განსაკუთრებით საშუალო კლასებისათვის, სარგებლობა მრავალ ცოლიანობის უფლებით.

რაც შეეხება მუშათა მოსახლეობას, დღიურ მუშებს, წვრილ მედუქნეებს, ხელოსნებს და მოხელეებს, მათი დიდი უმრავლესობისათვის განსაკუთრებით დიდ ქალებში ყოლა ერთი ცოლისაც ითვლება უკვე ფუფუნებათ.

პროსტიტუცია იქ განვითარებულია, არა ნაკლებ, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ მხრივ შეიძლება, თანამედროვე ტეგერანი არც კი ჩამორჩეს ევროპის რომელიმე სატახტო ქალაქს. ამასთანავე ერთად ძლიერდებოდა ქალთა ექსპლოატაცია და ჩაგვრა, ტეგერანში და ტავრიზში ხშირად შეიძლება შეხვდეთ იმისთანა საშუალო ქონების კაცს, რომელთაც გროშებით ეჭირათ 2—3 მოსამსახურე. რასაკვირველია, ამა ქვეყნის მდიდრებზე ლაპარაკიც მეტია. მსხვილ მემამულე ნაიტ სულთანს ტეგერანში მარტო თავის პირადი საჭიროებისათვის ჰყავს 400-ზე მეტი მოსამსახურე, რომელთაგან თითქმის ნახევარი ქალებია. სოფლებში, პომეშჩიკების მამულში ბრინჯის, თამბაქოს, ჩაის და სხვა პლანტაციებზე ქალები 12-ს. მუშაობაში იღებენ 15—20 კაპ. დღეში.

პოლიტიკურ და უფლების მხრივ სპარსელი ქალის მდგომარეობა უფრო უარესია. შარიათის თანახმად ის არის თითქმის სრული მონა თავის ქმრისა, რომელიც გარდა ყველა თავის უფლებებისა მასზე, შეუძლია კიდევ ყოველ წამში გააგდოს ქუჩაში, მაგრამ თუ ის მოინდომებს თავის მხეცი ქმრის დატოვებას მისი თანხმობის გარეშე, მაშინ მას წინააღმდეგ ილაშქრებს ისლამის წმინდა კანონები, რომლის დარღვევა მას ჯერ კიდევ არ შეუძლია. შარიათის შირმით ჩამოფარებული, ქმარი მას მაგრად ახვევს ჩადრში და განსაკუთრებული საფარით თვალსაც კი უხვევს. 0 წლიდან ამ უბედურ არსებას ხალხში არ შეუძლია შეხედოს ღვთის მიერ გაჩენილ ქვეყანას ახალი სახით.

იმიტომ, რომ ამ ხნოვანობიდან სპარსეთის კანონების თანახმად უკვე შეიძლება მისი გათხოვება, ხშირია შემთხვევები, როდესაც 70 წლის მდიდარი მოხუცი თხოულობს 12—14 წ. გოგონას.

თუ პოლიციელს შეხვდა სადმე მუსულმანი ქალი უჩადროთ, ის მას დაუყოვნებლივ აკავებს და მიჰყავს საპოლიციო უბანში, სადაც უკეთეს შემთხვევაში ახდევინებს ჯარიმას, ამ მხრივ სატახტო ქალაქში უფრო თავისუფლებაა, ვიდრე სხვაგან. აქ ქალებს შეუძლიათ იარონ ახდილ თვალებით.

ქალთა განათლება სპარსეთში არ არის რიგიანად დაყენებული, მას არ აქცევენ ყურადღებას არსად. სატახტო ქალაქების და რამოდენიმე სხვა ქალაქების გარდა იშვიათია, რომ შეხვდეთ ქალთა ცოტა თუ ბევრად წესიერ სკოლას, ისინი 10—11 წლამდე დადიან საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობენ კორანის კითხვას და სადაც სწავლება სწარმოებს იმავე მეთოდებით, როგორც ათასი წლის წინად უმეტეს შემთხვევაში ისინი გამოდიან სრულიად უცოდინარნი წერა კითხვისა. მხოლოდ ტეგერანში და ორ-სამ სხვა ქალაქებში არის რამოდენიმე ქალთა სახალხო სკოლა, სადაც სწარმოებს შედარებით წესიერი მეცადინეობა. ამ მხრივ ფრანგული და ამერიკული სკოლები სდგანან გაცილებით უფრო მაღლა, ვინემ მთავრობის სკოლები, რომელნიც არსებობენ სპარსეთის ბევრ დიდ ქალაქებში. ორივე სქესის ახალგაზრდობა გამოდის ყოველ შემთხვევაში, ინგლისური და ფრანგული ენის მცოდნეთ.

ბევრ ქალებს, რომელსაც გაუთავებიათ ეს სკოლები და რამოდენიმეთ იცნობენ თავის ევროპიელ დების მდგომარეობას, არ შეუძლიათ შეურიგდნენ იმ მონობას, რომელიც არსებობს ისლამის წმინდა კანონების მფარველობის ქვეშ. მათ გარშემო ჯგუფდება სხვა უკმაყოფილო ელემენტებიც. ტეგერანის ქალებმა რამდენჯერმე მოითხოვეს მთავრობისაგან, რომ ნება დართოდათ უჩადროთ გამოსვლისა, მაგრამ სპარსეთის რეაქციონური მთავრობა, დაჟინებით უარს ეუბნება მათ. ეს ცოტაა. შარშან შემოდგომას მან დახურა ქალთა პოპულ. ჟურნალი „ქალთა ცხოვრება" რომელსაც რედაქტორობდნენ ტეგერანის უფრო მოწინავე ქალები, საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ჟურნალის დახურვას ყველაზე უფრო დაჟინებით მოითხოვდა ისლამის სოციალისტების საზოგადოება თანახმად მაჰმედის კორანისა. ამ საზოგადოებამ განაცხადა, რომ გამოცემა ჟურნალისა, სადაც ქალები აშკარათ გამოდიან პროტესტებით, ეწინააღმდეგება ისლამის კანონებს.

მაგრამ ამ რეაქციონურ გამოსვლამ სრულიად ვერ გაუნელა ენერგია სპარსელ ქალებს, რამოდენიმე ხნის შემდეგ, მათ გამოუშვეს ახალი კვირეული ჟურნალი, „ლისაზე ზენან" „ქალთა ხმა" რომელიც ჯერ კიდევ არსებობს. ამგვარი ჟურნალები პროვინციებშიაც გამოდის, მაგრამ ისინი ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან წინ უამრავ დაბრკოლებას მთავრობის ორგანოების მხრივ. რასაკვირველია ეს მოძრაობა ედება მხოლოდ სპარსეთის საზოგადოების უფრო შეძლებულ წრეებს, პროლეტარული ელემენტები ჯერ ჯერობით სდგანან მის გარეშე და მოძრაობა ვითარდება ძლიერ ნელა. ეს ასე გაგრძელდება მინამდის, სანამ იბატონებს მეფურ-პომეშჩიკების მათრახი. მხოლოდ რევოლიუცია, რომელიც ახლოვდება, ნაწილობრივათ შეუძლია შეამსუბუქოს სპარსელი ქალის მძიმე მდგომარეობა, საბოლოვოდ განთავისუფლებას ყველა სახის მონობიდან ის მოიპოვებს მხოლოდ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციაში.

ა. სულტან-ზადე.

კომუნისტ ქალთა მოძრაობა

საფრანგეთი: 25 დეკემბერს მარსელში კომუნისტურ პარტიის სიეზდთან ერთად შესდგა კომუნისტ ქალთა პირველი კონფერენცია საფრანგეთში.

მოეწყო ცენტრალური კომისია ქალთა შორის მომუშავეთა საფრანგეთში, რომელიც არის კომპარტიის კონტროლის ქვეშ, დადგენილია გამოიცეს კომუნისტ-ქალთა ორგანო „მუშა-ქალი" აწარმოონ კამპანია პარლამენტში, პრესაში, ქალთა ეკონომიური მდგომარეობის შესამსუბუქებლათ და მუშა-ქალთა უფლებისათვის. სენის ფედერაციამ პროტესტი განაცხადა მინისტრი პუანკარეს დანიშვნის გამო. სწარმოებს დიდი მუშაობა რუსეთის დამშეულთათვის.

ინგლისი: გარდაიცვალა მინინა ლანდებური ძველი კომუნისტი-ქალი, რომელიც აძლევდა მთელ თავის ძალ-ღონეს გაუნათლებელ მუშებს. ის იყო წევრი ქალაქის რაიონის საბჭოსი.

ამხ. ლანდებური გარდაიცვალა ციხეში.

ჩეხო-სლავია: სექტემბერში იყო მოწყობილი კვირეული დამშეულ რუსეთისთვის, მოგროვილია 6.000 კრონი და დიდძალი ნივთები. ოქტომბერში გახსნეს მკერავთა კურსები მუშა-ქალთათვის და კომუნისტური პარტიული შკოლა, რომელშიც მეცადინობს 55 მოწაფე ქალი და ვაჟი. 15 და 16 ოქტომბერში შესდგა პრაგაში ქალთა კონფერენცია, სხვა და სხვა ერის კომუნისტ ქალებისაგან. 13 ნოემბერს იყო გამოფენა მუშა ქალების მიერ დამზადებული ნივთების, რომლებიც გაიგზავნა დამშეულთათვის. დეკემბერში ჩაატარეს რამოდენიმე საერთო პარტიული კონფერენცია.

ქალთა განყოფილებები ენერგიულ დახმარებას უწევენ ციხეში მყოფ ამხანაგების ოჯახებს.

13 თვის განმავლობაში იყო მოგროვილი დაახლოვებით 2 მილიონი კრონა.

ჩეხო სლავის ქალები სცემენ სამ კომუნისტურ გაზეთს.

8 მარტი თბილისში

ოქტომბრის რევოლიუციამ დაამსხვრია მონობის ბორკილები, მისცა საშუალება რუსეთის და ჩვენი ქვეყნის მშრომელ ქალებს ფართოთ და თავისუფლათ იდღესასწაულონ მუშა ქალთა საერთაშორისო დღე, 8 მარტი. იმ დროს, როდესაც ევროპაში, მუშა ქალები ქუჩებში დემონსტრაციებს ახდენდნენ და მოითხოვდნენ თავისუფლების აღიარებას. რუსეთის ქალები დიდის ზეიმით დღესასწაულობენ ამ ოთხი წლის განმავლობაში ქალთა პროლეტარულ დღეს.

მენშევიკურ ძალა-უფლების ბატონობამ დაახშო საშუალება საქართველოში ამ დღის ჩატარებისა და მხოლოდ ეხლა პირველათ იდღესასწაულა საქართველომ 8 მარტი.

მოუთმენლობით ელოდნენ თფილისის მუშა ქალებიც ამ დღეს წელს და აი 8 მარტს 12 საათიდან მუშა ქალები ჯერ პირველ რაიონში შეიკრიბენ და შემდეგ გასწიეს მეორე რაიონისაკენ და შეუდგნენ რა იქ ამხანაგებს გაემართნენ კურსანტების სამხედრო ბრიგადისაკენ, იქ მომუშავე მუშა ქალებთან შესაერთებლათ. აქ მათ მიესალმა კურსანტების წარმომადგენელი. ლამაზი სანახავი იყო მე 4 რაიონისაკენ დროშებით, რომელთაგან ბევრი გაკეთებული იყო თვით მუშა-ქალების მიერ.

უკრავდა მუსიკა, ისმოდა სიმღერა „საბჭოთა ხელისუფლებისათვის". მე-4 რაიონის მუშა-ქალები შეკრებილნი უცდიდნენ თავის ამხანაგებს. შეუერთდნენ რა მათ, გასწიეს დედის და ბავშვის სახლისაკენ, რომელიც იმყოფება კორგანოვის ქ. № 7, სადაც სამკერვალო სახელოსნოს მუშა ქალებმა ბავშვებს დაურიგეს შეკერილი პერანგები. ამ დროს მე 5 რაიონში მუსულმან ქალთათვის გახსნილ კლუბში შეკრებილ იყვნენ მუსულმანი მუშა-ქალები, ისმოდა სიმღერა, მუსულმანურ თარის ხმა დ ცეკვა.

ისინი ელოდებოდნენ ამხანაგებს მე-8 რაიონიდან. გრძლად ჩამწკრივებულნი მუსიკით, წითელი დროშებით მოდიოდნენ მე 4 რაიონის მუშა-ქალები სამხედრო დაწესებულებებში მომუშავე ქალებთან ერთად, მათ წინ კი მოდიოდნენ ვოლგის მხრის ბავშვები. პროცესია გაჩერდა სხვადასხვა პლაკატებით და ფლაგებით მორთულ კლუბის შენობასთან სადაც მათ მხურვალედ მიესალმნენ სხვადასხვა ენაზე ორატორები და აღნიშნავდნენ კლუბის მნიშვნელობას.

მრავალი მამაკაცი შეჩერებულიყო და უცქერდა ამ აქრობამდე უნახავ სურათს. მუშა-ქალებს ემჩნევოდათ დიდი ენტუზიაზმი სულიერი განწყობილება. დაბოლოს ილაპარაკა მუსულმან ქალმა, პირველად გამოსულმა ახდილ პირისახით ხალხის წინაშე, სადაც მამაკაცებიც იყვნენ. მან აღნიშნა, რომ მარტო საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოელიან ისინი ყოველგვარ მონობიდან განთავისუფლებას და რომ ეს კლუბი უნდა იქნეს საძირკველი მუსულმან ქალთა შორის მუშაობის.

მუსიკით მთელი მსვლელობა გაემართა ერევნის მოედნისაკენ, 26 მაისის მოედნისაკენ, სადაც უკვე მათ უცდიდნენ დანარჩენი რაიონები.

აუარებელი ხალხის თანადასწრებით სადაც იყვნენ ათასობით ქალები, და მრავალი მამაკაცები, ზეიმით გახსნილ იქმნა მიტინგი.

გამოვიდნენ ორატორები ყველა ენაზე და განმარტავდნენ 8 მარტის დღის მნიშვნელობას, მიესალმნენ მუშა-ქალებს კომუნისტ. პარტიის ც. ა., ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტიდან, არმიიდან, ამიერ-კავკასიის პროფკავშირების ყრილობის სახელით, გამოვიდა აგრეთვე მუშა-ქალიც ბადრიძე, რომელმაც დიდ გრძნობით და აღფრთოვანებით ილაპარაკა.

ზეიმით იქნა გახსნილი ძეგლი რევოლიუციის გაბედულ და მედგარ მებრძოლისა, ხალხის მტრების მიერ ვერაგულათ მოკლულ როზა ლიუქსენბურგის.

მიტინგმა მიიღო გადაწყვეტილება გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა საერთაშორისო ქალთა სეკრეტარიატის საშუალებით, გერმანიის და მთელ მსოფლიოს მუშა-ქალებს და რ. კ. პ. ც. კ ქალთა განყოფილების საშუალებით რუსეთის მშრომელ-ქალებს. საღამოს გაიმართა მოხსენებები უფასო წარმოდგენები მუშა-ქალებისათვის.

მთელი ეს დღე ქალაქში მოწყობილი იყო ყულაბებით ფულის მოგროვება საქართველოს და ვოლგის მხარის დამშეულთა სასარგებლოთ შეგროვდა 40 მილიონი მანეთი. ბევრ წარმოებებში მუშა-ქალები აძლევდნენ დღიურ ჯამაგირის გადარიცხვას დამშეულთა სასარგებლოთ. ასე იდღესასწაულა საბჭოთა თფილისმა ქალთა პროლეტარული დღე. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახლოა ის დრო, როდესაც ვიდღესასწაულებთ 8 მარტს ყველგან კაპიტალიზმის ნანგრევებზე. მალე დადგება ის დრო, როდესაც ყველა ქვეყნებისათვის ამოვა თავისუფლების ბრწყინვალე მზე და გაფანტავს წყვდიადს.

ლ. გ.

მუშა-ქალთა 8 მარტის დღესასწ. საქართველოში

(ქრონიკა)

მუშა-ქალთა სადღესასწაულოდ 8 მარტს 1922 წ. კ. პ. ც. კ. ქალთა განყ. წინადადებით პროფკავშირის საბჭოს და შრომის კომისარიატის მიერ იქმნა გაცემული ბრძანება დღის 12 საათიდან მუშა-ქალთა განთავისუფლების შესახებ ყველა წარმოებებიდან და დაწესებულებებიდან.

— **თბილისის მაზრაში,** სოფელ ასურეთში შესდგა ქალთა დიდი მიტინგი, სადაც დაესწრნენ მამაკაცებიც. ადგილობრივი და სამაზრო კომიტეტის მდივნებმა გააკეთეს მოხსენება 8 მარტის შესახებ. გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია ქალთა სოლიდარობის შესახებ.

— **ცხინვალში** იყო გამართული მიტინგი. წაკითხულ იქნა მოხსენებები 8 მარტის შესახებ, საღამოს მოაწყვეს კონცერტი დამშეულთა სასარგებლოთ. მოაგროვეს 906,000 მან.

— **გორის მაზრაში** ქ. გორში მუშა-ქალები იქმნა განთავისუფლებული 8 მარტს დღის 12 საათიდან. ქალაქი იყო მორთული დროშებით. შესდგა მუშა-ქალთა მიტინგი. საღამოს იქმნა მოწყობილი კონცერტი დამშეულთა სასარგებლოდ.

— **ბორჯომში** ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი ჩატარდა საუცხოვოთ. მონაწილეობას ღებულობდა საუკეთესო ძალები ყოველ დაწესებულებებიდან. ქალაქი იყო გალამაზებული ყვავილებით და წითელ დროშებით. მუშა-ქალები გამოუკლებლივ იქმნა განთავისუფლებული 12 საათზე სამუშაოდან. დილიდან სწარმოებდა დამშეულთა სასარგებლოდ შემოწირულების მოგროვება. 4 საათზე შავ მდინარეზე გამართულ იქმნა მიტინგი, შემდეგ წარმოდგენა-კონცერტები, რამაც დიდათ დააკმაყოფილა მუშები. შემდეგ კრება გახსნეს წითელ კლუბში, სადაც გამოვიდნენ ამხანაგები მოხსენებებით ქალთა დღესასწაულის შესახებ. ყოველ ორატორის სიტყვის შემდეგ მუსიკა ასრულებდა ინტერნაციონალს, საერთოდ 8 მარტი ბორჯომში ჩატარდა ცოცხლად და ფრიად დამაკმაყოფილებლად.

— **ბორჩალოს მაზრაში** ქ. ეკატერინენფელდში 8 მარტის დღესასწაული ჩატარდა კარგად. ამ დღეს იქმნა გახსნილი ბავშვთა თავშესაფარი. დამშეულთა სასარგებლოდ მოგროვებულ იქმნა დაახლოვებით 2,000,000 მან. მანეთამდე. საღამოს მოაწყეს წარმოდგენა-კონცერტებით.

— **ახალციხის მაზრაში** მუშა-ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი ჩატარდა დასაკმაყოფილებლად. ამ დღეს იქმნა გახსნილი სკოლა წერა-კითხვის უცოდინართათვის. მოგროვილ იქმნა დამშეულთა სასარგებლოდ—1,450,000 მანეთი ფულით და რამოდენიმე ნაწილი სურსათ-სანოვაგით.

— **ხარვანის რაიონში** დღესასწაული იქმნა ჩატარებული რაიონში, სადაც დაესწრო მუსულმან ქალთა უმრავლესობა. ამხ. გასანოვას მიერ იქმნა გაკეთებული მოხსენება, რის შემდეგ აღმოჩნდა ბევრი მსურველები პარტიაში ჩასაწერად. და მოითხოვეს გაეგზავნათ მათთვის ქალთა შორის მომუშავე ინსტრუქტოდ ორგანიზატორი.

— **თელავის მაზრა,** 8 მარტს სპეციალურად იქმნა გამოცემული „მუშა-ქალთა" ფურცელი, წაკითხულ იქმნა მოხსენებები 8 მარტის დღესასწაულის შესახებ. საღამოს იქმნა დადგმული წარმოდგენა, პიესა ცეიტლინისა „8 მარტი".

— **ბათუმში.** 8 მარტს ქ. ბათუმში მოწვეულ იქმნა უპარტიო ქალთა კონფერენცია, სადაც იქმნა გაკეთებული მოხსენებები 8 მარტის შესახებ. კონფერენციის შემდეგ დელეგატი ქალები გაემგზავრნენ საღამო-წარმოდგენებში. ლენინის ძეგლთან ზეიმით იქმნა გახსნილი დიდი მიტინგი. ბავშვთათვის იყო გამართული დილის წარმოდგენები. საღამოს კონფერენციის წევრთათვის, მუშა-ქალთა და სამხედრო პირებისათვის. როგორც კლუბებში, აგრეთვე კინოებშიც, იყო გამართული საღამოები.

— **ქუთაისში.** ქალაქ ქუთაისში ქალთა საერთაშორისო სადღესასწაულოთ 8 მარტს შესდგა მაზრის უპარტიო ქალთა ყრილობა. კონფერენციის სახელით შემდეგ გაგზავნილი იყო დეპეშა საერთაშორისო ქალთა სეკრეტარიატში. მეორე დეპეშა იქმნა გაგზავნილი ს. კ. პ. ც. კ. და საქ. აღმასკომისადმი.

— **ოზურგეთის მაზრაში.** საერთაშორისო დღე იქმნა ჩატარებული ქ. ოზურგეთშიაც. მუშა-ქალები იქნენ განთავისუფლებული 12 საათიდან. ქალაქი იყო გალამაზებული წითელ დროშებით. საღამოს ქალაქის თეატრში მოწყობილ იქმნა მიტინგი და წარმოდგენა უფასოთ.

ტირაჟი 10.000

[illegible]